

40 / 57 / 3

საქართველოს  
საბავშვო გამომცემლობა



ს. ნ. ბ. გ. ე. კ. ი.

№ 4  
336000  
1957



3. ი. ლენინი ბავშვობიდან

# პ. ი. თ. ნ. ე. რ. ი



საქართველოს ალკა  
ცენტრალური კომიტეტის  
ქოველთვიური  
საბავშვო შუბანი


# 4

აპრილი  
1957



## მინუა რსი

გვ.



ა. მირცხულავა—ლენინი (ლექსი) . . . . .	2
ვ. ი. ლენინი—ნახ. უ. მეძმარიაშვილისა . . . . .	3
ა. კონონოვი—სახალხო სიყვარული (მოთხრობა) . . . . .	4
ვ. შიაკოვსკი—ჩვენი პარტია (ნაწყვეტი პოემიდან „გლადიმერ ილიას-ძე ლენინი“) . . . . .	5
ს. იორამაშვილი—გარეული კაცი (მოთხრობა) . . . . .	6
ჯ. ჩარკვიანი—გაზაფხული (ლექსი) . . . . .	13
კ. კობერიძე—მერცხალი (ლექსი) . . . . .	13
ნ. ბეზარაშვილი—მანანა (მოთხრობა) . . . . .	14
გ. ჯაფარიძე—მომავალი ოსტატები (ნარკვევი) . . . . .	16
ფესტივალის შესახებ დრად . . . . .	19
ს. შატროვი—როგორ იქცა ბუზი სპილოდ (მოთხ- რობა, თარგმნა ალ. ბაბუნაშვილმა) . . . . .	20
სიტყვის მატიანე . . . . .	21
ზ. ლეშკაშელი—აქ უყვართ ტანვარჯიში (ნარკვევი) . . . . .	22
რ. პერკინა—საწვრთნელი ლაშქრობა (ნარკვევი) . . . . .	24
გ. ტაბიძე—წიგნი (ლექსი) . . . . .	27
როგორ დამეგობრდნენ ფრინველები (ბირმული ხალ- ხური ზღაპარი, თარგმნა თ. ალავიძემ) . . . . .	28
მოკლე დ ყველაფერზე . . . . .	30
იუმორი . . . . .	31
გასართობი . . . . .	32
დ. ზარაფიშვილის ნახატები (წერილი) . . . . .	32
გარეკანის პირველ გვერდზე—„ფინიშთან“—ნახ. რ. ცუცქირიძისა. მეორე გვერდზე—ლენინი ბავშვობი- სას (ფოტო); მესამე გვერდზე—დ. ზარაფიშვილის ნა- ხატები; მეოთხე გვერდზე—ვ. ი. ლენინის სახლ-მუზეუმი გორკაში—ნახ. გ. ფოცხიშვილისა.	
შურნალი დასურათებულია: უ. მეძმარიაშვილის, გ. ფოცხიშვილის, რ. ცუცქირიძის, დ. ხახუტაშვილის, გ. გელოვანის და ნ. შალიკაშვილის მიერ.	

რედაქტორი რევაზ მარგიანი

სარედაქციო კოლეგია: შ. ბერიანიძე, რ. ელანიძე,  
მ. ლებანიძე (პ/მგ. მდივანი), მარიჯანი, გ. ფოცხი-  
შვილი (სამხატვრო რედაქტორი), რ. ქორქია.

გამომცემის ფული  
XXXI

საბლიტგაზი

# ღ ე ნ ი ნ ი

ალიო მიჩხულავა

პირმოლიმარე, შუქმოფენილი,  
მიცქერს კედლიდან ბრძნული სახება.  
კრემლის კოშკიდან ისმენს ლენინი  
საუკუნეთა გადაძახებას.

წინ მოუხმობდა ორბებს, შევარდნებს  
ბრძენი არწივის მძლავრი მარჯვენა;  
ოქტომბრის გმირულ ომში შევარდნენ  
თავისუფლების გადასარჩენად.



მთების არწივმა მოვლო მწვერვალიც,—  
კავკასიონის ქედი,—ორბეთი  
და ხალხს აუწყა მან თებერვალი—  
მზის, გაზაფხულის წინამორბედი.

მოსპო მონობა სულთამხუთავი,  
დასძრა დროშები ცეცხლის ქარებად;  
მას იცავს ხალხი მუდამ უკვდავი,  
სიკვდილიც ახლოს არ ეკარება.

კრემლშია ხალხთა ბედის მჭედელი!  
პირქვე დაამხო ტახტი მეფეთა!  
ხალხის გულია კრემლის კედელი,  
სიკვდილი შესვლას როგორ შებედავს!

დროშად მიუძღვის შრომის მეომრებს  
ბელადი ცოცხლად წარმოდგენილი...  
აი, ამ ლექსსაც რომ ვიმეორებ,—  
პირმოლიმარე ისმენს ლენინი!

ნახ. გ. ფოცხიშვილის.







როდესაც ვლაპარაკობთ ლენინზე, მაშინ ჩვენ ხალხ-ზედაც ვლაპარაკობთ.

როდესაც ხალხზე ვლაპარაკობთ, ჩვენ ვფიქრობთ ლენინზე!

... პეტროგრადის მუშები დიდი ხანია ელოდნენ ლენინის დაბრუნებას სამშობლოში. ლენინს ელოდა პარტია, ელოდა სტალინი, რომელიც ახლახან დაბრუნდა გადასახლებიდან, პოლარულ წრესთან მდებარე ტურუხანის მხარედან, სადაც მან ბევრი გაჭირვება და ხიფათი გამოიარა.

გადასახლებიდან მომავალმა სტალინმა ჯერ კიდევ გზიდან გაუგზავნა ლენინის მისასალმებელი დეპეშა.

ახლა კი დღე-დღეზე ლენინის დეპეშა უნდა მოსულიყო — ჩამოსვლის დღე უნდა ეცნობებინა.

აგერ ეს დიდი ხნის ნანატრი დღეც გათენდა!

იოსებ ბესარიონის-ძემ აღარ დაუცადა: ადგა და თვითონ გაემგზავრა ფინეთის საზღვარზე, ბელოოსტროვში, ვლადიმერ ილიჩის შესახვედრად.

ეს იყო 1917 წლის 3 აპრილს.

აღდგომის უქმეების გამო ყველა ქარხანა და ფაბრიკა დაკეტილი იყო, იმ დღეს არც გაზეთები გამოვიდა და არც ის მატარებელი მუშაობდა, რომლითაც მუშები გარეუბნიდან დედაქალაქში ჩამოდიოდნენ.

პეტროგრადში მაინც გაიგეს, რომ სტალინი ლენინის შესახვედრად გაემგზავრა.

ლენინი ჩამოდის! როგორ შევატყობინოთ ხალხს?

აი, რა მოიფიქრა ორმა მკერავმა ქალმა, რომლებიც ნევის სადარაჯოსთან ცხოვრობდნენ. ისინი შევიდნენ იქვე ბოლშევიკების რაიონულ კომიტეტში, გამოართვეს იქ წითელი მატერიის ფართო ნაჭერი და ზედ ზეთის თეთრი საღებავით დააწერეს: „ლენინი ჩამოდის, წავიდეთ შესახვედრად!“

ახლა ეს წარწერა გრძელ ლარტყებზე ან ჯოხებზე უნდა დაემაგრებინათ, რომ შემდეგ პლაკატი ნაღლა აეწიათ, ხალხის დასანახავად.

ლარტყები დიდხანს არ უძებნიათ. იქვე ქუჩაზე პატარა ბიჭები გრძელი ჭოკებით მტრედებს აფრენდნენ. ო, რა ძვირფასი იყო ბავშვებისათვის ეს სწორი, მათივე ხაოიანი ხელისგულებით გაკრიალებული ჭოკები! ჭოკები კი არა, მემტრედე ბიჭების ოცნება!

იქნებ ბავშვებმა აღრვევ იცოდნენ, რომ ლენინი ჩამოდიოდა, ან იქნებ გულმა უთხრა მათ, რომ დღეს ისინიც ხალხთან ერთად უნდა ყოფილიყვნენ! ასე იყო თუ ისე, წარწერა რომ წაიკითხეს, ხმა არ გაუღიათ — ჭოკები მაშინვე მუშა ქალებს ჩააბარეს.

მუშა ქალები ქუჩაში გამოვიდნენ და იმ ჭოკებზე გაკრული წარწერა მალლა ასწიეს.

ისინი ფიქრობდნენ, რომ ეს ამბავი ყველას გაუკვირდებოდა. მაგრამ არავის არ გაჰკვირვებია: ყოველი მხრიდან მოდიოდა ხალხი, წაიკითხავდნენ: „ლენინი ჩამოდისო,“ — მერე ერთმანეთს ეკითხებოდნენ: მატარებელს როდის ელიანო.

ხალხი ჯგუფ-ჯგუფად მიჰყვებოდა მუშა ქალებს. ერთი მოხუცი გაჯავრდა: რატომ არ აწერია, რომელ სადგურზე უნდა შეგხვდეთო.

— განა რა ძნელი მისახვედრია! ფინეთის სადგურზე! — უბასუხა ვილაცამ.

მოხუცმა თავში ხელი შემოიკრა:

— ჩემი შვილები აქ ახლოს არიან! მოვასწრებ იმათ მოყვანას?

— მოასწრებ. — უთხრა დინჯად მუშა ქალმა, რომელიც სახელდახელოდ გაკეთებულ პლაკატს გვერდით მიჰყვებოდა.

ასე ჩაატარეს პლაკატი მთელს რაიონში, შემდეგ ქალაქის ცენტრისაკენ გაემუშურნენ. ხალხი თანდათან მატულობდა. ნევის პროსპექტზე ლენინის ჩამოსვლის მაუწყებელ პლაკატს უკვე დიდძალი ხალხი მიჰყვებოდა. მსვლელობას ბოლო არ უჩანდა.

მიდიოდნენ მუშები, ჯარისკაცები, სტუდენტები, მიაბიჯებდა ის მოხუცი, რომელიც წელან შვილებს მოსაყვანად გაიქცა. მას ახლა მხარს უმშვენებდა ორი ჭბუკი, ორივე ზორბა ტანისა, უთუოდ ესენი იყვნენ მისი ვაჟები. ის პატარა მემტრედე ბიჭებიც აქ იყვნენ.

ამ დროს ხალხში ვილაცამ დაიძახა:

— აბა, ერთი ჩვენი საბრძოლო სიმღერა შემოგდახოთ! — და პირველმა წამოიწყა:

— смело, товарищи, в ногу...

ხალხმა ბანი მისცა. სიმღერას ფეხი ააყოლეს და როგორღაც შეუმჩნევლად რიგში ოთხ-ოთხად მოეწყვნენ. ახლა უკვე ხალხის უზარმაზარი კოლონა მიდიოდა ლენინის შესახვედრად. ნევას რომ მიუახლოვდნენ, მათ დაინახეს, რომ ასეთივე კოლონები სხვა რაიონებიდანაც მოდიოდნენ. მოდიოდნენ მუშები, მოდიოდნენ სამხედრო ნაწილები გაშლილი დროშებით, ჩაიარა კრონშტადტის მეზღვაურთა რაზმმა, მერე ქვაფენილზე ჭრიალით ჩაიქროლეს ჯავშნიანმა ავტომანქანებმა.

ნევის ხიდან კოლონას ლოდინი დასჭირდა, ხიდი განიერი იყო, მაგრამ ეს ზღვა ხალხი ერთბაშად მაინც ვერ გავიდა.

ფინეთის სადგურს რომ მიუახლოვდნენ, კოლონებს შუა თავისუფალი ადგილი უკვე აღარ დარჩა. ახლომანლო ქუჩები და მთელი სადგურის მოედანი ხალხით გაიქვდა.

ახლა ცხადი იყო: თუ დროებითი მთავრობა ლენინის დაპატიმრებას დააპირებდა (მას კი უნდოდა ამის გაკეთება)—ხალხი ამას არ დაანებებდა...

ბინდდებოდა. მუშებმა წინასწარ მომზადებული ჩირალდნები აანთეს. ვაგზალთან პროექტორები აკაშკაშდნენ და თითქოს ცისფერმა ხმლებმა დასერეს გახშირებული სიბნელე. წითელმა და ცისფერმა სინათლემ ყველაფერს გარშემო სადღესასწაულო იერი მისცა.

ვაგზალთან ტევა აღარ იყო: ქალაქის ყველა რაიონიდან დაუსრულებლად მოდიოდნენ მუშების, მუშა ქალებისა და ჯარისკაცების ახალ-ახალი კოლონები.

შემდეგ მოისმა ძლიერი გუგუნე. ხალხი შეირბა და გზა დაუთმო ვაგზლისაკენ გრილით მიმავალ ჯავშნიან ავტომანქანებს, რომელთა კოშკებზე წითელი დროშები ფრიალებდნენ.

ხალხიც ერთობლივ მიჰყვა იმ ჯავშნიან ავტომანქანებს და უფრო მჭიდროდ შემოადგა ვაგზლის შენობას.

ზედ ვაგზალთან მწვანედ შეღებილი ჯავშნოსანი იდგა—ჯავშნოსნის საბრძოლო კოშკს პროექტორის ძლიერი შუქი ანათებდა.

ცოტა ხნის შემდეგ ბაქანზე მატარებელი ჩამოდგა და ვაგონიდან ლენინი გამოვიდა. ჯარისკაცებმა და მეზღვაურებმა ვლადიმერ ილიჩი ხელში აიტაცეს და ვაგზლის დარბაზში შეიყვანეს. ლენინმა სწრაფად გაიარა დარბაზი და მოედანზე გავიდა.

მოედანს ნელი გუგუნე მოედო, მერე ერთბაშად ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, რომ აბოლებული ჩირალდნების ტკაცუნე ისმოდა.

მაღლა, ჯავშნოსნის კოშკზე, ყველას დასანახად იდგა ლენინი. რამდენიმე წუთი იგი ჩუმად იყო, ოდნავ წინ გადმოხრილი, თითქოს დროშებსა და პლაკატებზე წარწერილ სიტყვებს აკვირდებოდა. დროშები და პლაკატები ბევრი იყო, მაგრამ ჩირალდნების შუქზე წარწერები ძნელად იკითხებოდა. აგერ პროექტორმა მიანათა სადღაც მოედნის ბოლოში აღმართულ წითელი მატერიის ნაჭერს—მკაფიოდ გამოჩნდა მსხვილად დაწერილი ასოები:

„ლენინი ჩამოდის. წავიდეთ შესახვედრად!“

კოკებზე დამაგრებული წარწერა წითელ თავსაფრიან ორ მუშა ქალს ეჭირა.

ლენინმა დაინახა ისინი.

ლენინმა დაინახა მის შესახვედრად მოსული ხალხი აღელვებულმა, ქუდი მოიხადა და მაღლა ასწია.

ჩერე სწრაფად ქუდი პალტოს ჯიბეში ჩაიდო, ხელი წინ გაიშვირა და დაიწყო თავისი სიტყვა, რომელიც იმ საღამოს არავის ჩაუწერია, და არც არავის დავიწყებია.

ყველამ გაიგონა სიტყვები, რომლებიც სამუდამოდ დარჩება ხალხის მეხსიერებაში, მთელი კაცობრიობის მეხსიერებაში:

— გაუმარჯოს სოციალისტურ რევოლუციას!

თარგმნა კ. ლორთქიფანიძემ



ვლადიმერ მაიაკოვსკი

# ჩვენი პარტია

ნაწყვეტი ჰომეიდან

„ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი“

ჩვენი პარტია

ერთიანი

ურაგანია,

მტკიცედ შეკრული,

თავის რიგებს

კვლავ რომ ამაგრებს;

ის ისე ჭგლეჯს და

ანადგურებს

მტრის სიმაგრებს

როგორც ქვემესთა

ურაგანი

ყურის ბარბნებს...

კლასის გონება,

კლასის საქმე,

რაც გვინატრია,

კლასის დიდება,

კლასის ძალა—

აი, პარტია!

ტყუპნი არიან

პარტია და

დიდი ლენინი,

ჩვენს ისტორიას

ორივ იგი

ერთგვარად ჰშვენის:

ვიტყვით—ლენინი,

პარტია გვაქვს

წარმოდგენილი,

ვიტყვით—პარტია,

და ვგულისხმობთ

ვლადიმერ ლენინს.

თარგმნა ირაკლი აბაშიძემ



# კარული კუკი

ს. იორაშვილი

მ ო თ ს რ ო გ ა

ნახ. რ. ცუცქერიძისა

## [თავი პირველი]

— მოგვიწადე საგნალი დიდედ, მოგვიწადე, შენ გენაცვალე. პაპამ იქნებ ახლა მაინც წამიყვანოს. — ეხვეწებოდა თხუამეტი წლის მირიანი თავის დიდელა ტახოს, რაკი შეატყუა, რომ პაპა-დიდელა ორივენი კარგ ხასიათზე იყვნენ.

მართლაც ხვეწნამ გაჭრა და გატყდა დიდი ხნის ნახსი. სამი დღის შემდეგ ჩანგლებითა და ხანოვავით გატენილი ბრეზენტის ხურჯინებით აქსტაფის მატარებელს გაჰყვნენ დათა-პაპა, მასავით პენსიონერი რუსი მიტკა და მირიანი.

მოხუცები გზაში ნაცნობი ადგილებს შესახებ მასლაათობდნენ, სადაც დიდი ხანი იყო აღარ ეთევზავათ, და ეჭვს გამოთქვამდნენ — კიდევ შეიძლება მოხვდეს ჩანგალზე ლოქო, თუ ახალი ადგილების ძებნა დაგვიირდებაო.

— თოვლი ძირითადად ჩამოილია, წყალი კლებულობს და იწმინდება კიდევ. მე მგონია ახლა ლოქო ყველგან უნდა მოხვდეს ჩანგალს. განსაკუთრებით, ჩვენი ადგილები რომ იყო, ყარასუს ქვემოთ, იქ არ შეიძლება ჩანგლის მოცდენა. — აიმედებდა დათა-პაპა თავის მეგობარს.

— იმ ადგილებში, დავით გრიგორიჩი, წყალმა თუ ყურეები გააფუჭა, ლოქოს დაჭერის იმედი ნულარ გეკნება.

— რას ამბობს მიტკა! შენ იკამდე მიმიყვანე და ლოქოს დაჭერა ჩემზე იყოს. როგორ გეკადრება! აკი ვამბობ, ახლა ასეთ წყალში ლოქო საჭმელს გამგებლებული დაეძებს. ჩვენ ერთი კარგი მისატყუებელი ცოცხალი თევზი, ან ბაყაყი წამოვავათ ჩანგალზე და ნახავთ ვერ დავიჭერთ.

მირიანი უხმოდ უსმენდა მოხუცების დავას, ხანდახან ჩაერეოდა ხოლმე შეკითხვით:

— პაპა ერთ ლოქოს მაინც ვერ დავიჭერთ?!

— მოიცა შეილო, მოიცა ერთსაც დავიჭერთ და ბევრსაც. ამ, მანავ ამდამ. ამან სულ ასე იცოდა ხოლმე ხასიათის გაფუჭება! — დაამწვიდა შეგლიშვილი დავითმა, გულში კი მრავალი შემთხვევა გაიხსენა, როცა მართლა ისე დაბრუნებულა ცარიელა, რომ ლოქო კი არა, ერთი ჭიჭყინაც ვერ დაუჭერია.

ან კიდევ ასეთ კითხვას მისცემდა მირიანი:

— პაპა, დავუშვათ, ერთი ოცი ცალი დიდი ლოქო დავიჭირეთ, როგორ უნდა მივიტანოთ სადგურამდე?


— შში ეგეთი რამეც მომხდარა, მაგრამ დაჭერილი თევზი იქ არ დავგიტოვებია. ერთხელ ათი ფუთი თევზი დავიჭირე — სულ ლოქოები. სამ ზურგად გავაკეთე და ისე ვატარე. ერთს რომ ავიკიდებდი, წავრღებდი რამდენიმე მანძილზე, ხანამ თვალი მიმიწვდებოდა — ორ ზურგულას ადგილზევე ვტოვებდი. მერე დავბრუნდებოდი და რიგრიგობით იმათაც წავიღებდი ხოლმე. ასე ვატარე სადგურამდე და კარგადაც დავიღალე. მაგრამ, სამაგიეროდ, მთელი ჩვენი უბანი ჩემზე აღაპარაკდა, იმდენი თევზი რომ ჩავიტანე...

და ბევრი ასეთი რამ მოიგონა დათამ, ხანამ მატარებლიდან ჩამოვიდოდნენ.

\*

ყარასუს რომ გასცდნენ მეთევზეები და თავიანთ ნაცნობ ადგილებს გადაადგნენ, მტკვრის გაღმა-გამოღმა ნაპირი ველარ იცნეს, ისე გადაესხვაფერებინა მდინარის დინებას. ძველად აქ ორივე მხრიდან რიყეზე საურმე გზები ჩადიოდა და სამშენებლო ხრეშს ეწიებოდნენ. როგორც ეტყობოდა, ის გზები ერთხელ წყალს მოეგლიჯა რიყიანად და თავის კალაპოტად გაეხადა. შემდეგ ის კალაპოტი ისევ მიეტოვებინა, მიელამნა, ხოლო ლამში დგნალები და ვერხვები ატენილიყვნენ და კარგი ღელსათიანი ჭალა გაზრდილიყო. განსაკუთრებით გაღმა ნაპირზე ისეთი დაბურული ტივრი წამოზრდილიყო, რომ შიგ ჩიტი ვერ შეფრინდებოდა.





დავითი და მიტკა გაკვირვებით შეჰყურებდნენ სახეშეცვლილ მიღამოს, მერე ჩანგლების დასამარებელი პალოების დაქრას შეუდგნენ. მირიანი დიდხანს დასდევდა ბებერ მეთევზეებს და ჩანგლების დაგებაში ეხმარებოდა. შემდეგ კი ჯერჯერობით უშედეგო ჩხირკედელაობა მოსწყინდა ყმაწვილს, ტანთ გაიხადა და მტკვარში გადაეშვა საბანაო.

დავითი კმაყოფილი გაჰყურებდა მირიანის თავისუფლად სრიალს მტკვარში და ამაყად უთითებდა თავის თანატოლ მტკას:

— მე რომ მიუყვინებდი ხოლმე, დიმიტრი მაქსიმოვიჩი, ბანაობა არ იცოდა, ხედავ ჩემს შვილიშვილს, როგორ დასრიალებს ტალღებში ორაგულივით?! მაშ რა გეგონა!

მოხუცებმა დამშვიდებით განაგრძეს თავიანთი საქმე. მაგრამ მტერიც შესაბრალოსია იმ დღეში, რა დღეშიაც ისინი ჩაგარდნენ, როცა საღამოთაშუაზე თავიანთ ბარგთან დაბრუნდნენ. ყარაულად დატოვებული მირიანის ნაცვლად, ბებრებს მხოლოდ მისი უპატრონოდ მიტოვებული ტანისამოსი დახვდა, რომელსაც მხვრილი, წითური ჭიანჭველი და ჰაზვევოდა და ხეობაში მუდმივ მქროლავი ნიაფით წმინდა ხელა წაჰყროდა.

ამ სურათის დანახვით დათა-პაპა გაშტერდა. ჯერ პირველად არა სჯეროდა, თუ შვილიშვილი ბუჩქებში არ იყო მიმალული, მაგრამ როდესაც ხმამაღლა გასძახა რამდენჯერმე და პასუხი ვერ მიიღო, უცბათ ათი წლით მაინც დაბერდა: სახე გაუფითრდა, ხელები აუჟანკალდა და მთელი ტანით მოეშვა. მისი მეგობარი მიტკა მართალია ძალიან შეწუხდა მდგომარეობით, მაგრამ არ დაბნეულა.

— დავით გრიგორიჩი! არ ვარგა სულით დაცემა. ჯერ ხომ არ ვიცით რა შეემთხვა ყმაწვილს... სულ ადვილი შესაძლებელია, გაჰყვა ქვევით მტკვრის დინებას ცურავით და იქიდან უკან დაბრუნებულს ჭალაში გზა დაეხანა. რა ვიცი, წილან ის ბიჭი ისე დაცურავდა რომ... ჯერჯერობით შენ აქ დამიცადე. მე ჩავივლი ქვევით ჩანგლებსაც დავათვალიერებ და თან იქნებ ხმაც მივაწყვიდინო.

უთხრა მიტკამ ეს და ბებრული ფორხილა ნაბიჯებით ახლად ჩამოწოლილ საღამოს ბინდს შეერია,



თვალგაშტერებული და ელდანაცემი დავითი დიდხანს მისჩერებოდა მტკვრის ზედაპირზე იმ ადგილს, სადაც მირიანი რამდენიმე საათის წინ დადგა უნებლად. თათქოს ელდა მოხუცი იმავე ადგილს შვილიშვილის გამოჩენას და თვალს არ აცილებდა, — არაფერი გამოეპარათ. მაგრამ მხოლოდ მდინარის ტალღების მონოტონური დუდუნის ისმებად.

შორს, სადაც ჭოტკა დაიძახა. დავითი გამოფხინდა და ირგვლივ მიმოიხედა. ჭალაში უკუნეთი სიბნელე ჩამოწოლილიყო. გაღმა, ჯერიანთევის მხრიდან გულისწამებდა აჩხვლდნენ ტურები. ქვემოთ, ჭალაში, მიტკას ხრინწიანი შეძახილიც გაისმა:

— მი-რი-აანი!..

ძახილი რამდენჯერმე განმეორდა. ტურებმა ერთ წამს თავიანთი „კონცერტი“ შეწყვიტეს, თითქოს ყური მიუგდესო ძახილს, შემდეგ კი უფრო სასარელი ხმით აჩხვლდნენ.

ესმოდა ყველაფერი ეს დათა-პაპას. ამ ხმაურში სმენადქცეულ მოხუცს რამდენჯერმე თითქოს მირიანის საპასუხო გამოძახილიც გაისმო, ისე მოეჩვენა და, რაც შეეძლო, კიდევ უფრო გაიმახვილა ყური. მაგრამ ბოლოს ისევ ირკვევოდა: ტურების ჩხავილი, ჭოტკის კვილი, წყლის ჩურჩული და მიტკას ხრინწიანი ძახილი...

დიდხანს უგდებდა ყურს ყოველგვარ ხმაურს, იქნებ მირიანის ხმად ეცნო, მაგრამ ამაოდ.

„როგორ მივიდე სახლში და როგორ მივიტანო მირიანის ტანსაცმელი?!— ვაიმე, შვილო, რა პასუხი გავცე, ბიჭო, შენს დედამას, ან როგორ მოვისვენო?!.. რა მომართევდა სათევზაოდ! რამდენი ხანია თავი დავანებე თევზაობას, ახლა რა ეშმაკი მომართევდა! — მეათახედ ეკითხებოდა თავის თავს მიხუცი.— ეს მიტკა სადღა ჯანდაბაში დაიკარგა! ჭალაში რომ დეძებს ყმაწვილს ამ შუალამისას, ხბო ხომ არ იყო, იქ რა დააყენებდა?!“

ასე რომ ებუტბუტებოდა თავისთავს, ქვემოდას მოშავოდა მოლიკზე მიტკას ხველა და ფენის ხმა გაისმა. იმედის პატარა ნაპერწკალი ანთო მოხუცს გულში... როგორც იქნა მოვიდა მიტკა. ბნელში ტომრით რაღაც დააგდო მძიმედ, დადლილმა ამოიხუნწა, გაიხადა რეზინის სველი ჩექმები, — წყალი ჩახვლოდა. თხმოდ მიუჯდა დავითს და ჩაილაპარაკა:

— ნამეტანი სიბნელეა, ეშმაკმა წაიღოს!

დავითი კი, თითქოს დამუნჯებულაო, იჯდა გაუნძრევლად და მიტკასაგან სულ სხვა რამის თქმას ელოდა.

— თავის მოკვლა, დავით გრიგორიჩი, ყველაზე ადვილია, — თქვა მიტკამ, — ეს ხომ გაჭირვებიდან ლაჩრულად გაქცევია! მე, როგორც წილანაც ვითხარი, არავითარ შემთხვევაში არა მჯერა ბავშვის დახრჩობა. მაგრამ ასეც რომ დავუშვათ, თავის მოკვლით რას ვუშველით? იმასაც მოვლა უნდა და იმ ბავშვის მშობლების გამხნევებაა საჭირო. ჯერ ის ბავშვი, დარწმუნებული ვარ, ცოცხალია და რაღაც ჩვენთვის გაუგებარი რამ შეეთხვა, რაც ალბათ დილით გამოირკვევა. მხოლოდ, ჯერ თუ არ გეძინება, უტეთესია პატარა ცეცხლს დავანთებ, თორემ კოლოები დავგვამენ.

ამ სიტყვებით მიტკა წამოდგა და დღასითვე შეგროვილ ხმელ ფიჩხს ცეცხლი წაუკიდა. იქაურობა ერთ წამს ძლიერი ალით განათდა და მტკვრის ზედაპირზე უცნაური ჩრდილები არიალდა, წყლისპირას დაგდებული სველი ტომარა ცეცხლის შუქზე შეინძრა.

დავითმა თვალი მოჰკრა ტომარას და მიხვდა, — მიტკას ჩანგლებიდან ლოქოები მოეხსნა. მაგრამ იმის დარდი ვიღას ჰქონდა არც უკითხა, რამდენი ცალი იყო, ან რამხელანი იყვნენ. გაახსენდა თავისი ბიჭის შეკითხვა — ერთ ლოქოს მაინც ვერ დავიჭერთო — და დაშტერდა და წივებზე ცრემლები ჩამოუგორდა.



მიტკამ დილამდე სამჯერ კიდევ დაათვალიერა ჩანგლები, უკვე მოყვანილების გარდა, ხუთი ცალი კარგი მოზრდილი ლოქო მოათრია და ლაყურებით დააბა წყალში. მაგრამ დათას ყურადღებაც არ მიუქცევია მიტკას საქმიანობისათვის.

გათენებისას ერთხანობა თითქოს კიდევ წათკლიმა დარდიან მოხუცს, მაგრამ ისეთი სიზპარი ნახა, რომ უშაღ გიჯივით გამოეღდა. ვითომ მტკვრის შუაგულში ერთი პატარა კუნძული იყო და იმ კუნძულზე მირიანმა გამოჩნდა შეწუხებული სახით. ბიჭი ეკალბარდებში გახლართულიყო და პაპას ემუდარებოდა: როგორმე გამოიღო და მიშველე პაპავ! თორემ ვეღარ გამოვისხენი თავი ამ ხლართებიდანო.

თვალი რომ გაახილა, მოხუცი ელდანაკრავივით წამოვარდა წეზე.

ცეცხლი ჩამქარალიყო, თენდებოდა. მიტკა დაბმულ ლოქოებთან ფუსფუსებდა. მირიანს არსად ჩანდა. ცლა აღარ შეიძლებოდა, მოითათბირეს მოხუცებმა: დავითი შემთხვევის ადგილზე დარჩა, ხოლო მიტკა სასწრაფოდ დაბრუნდა თბილისში ამბის შესატყობინებლად.



მიტკა-რუსმა მეორე დღეს მოტორიანი ნავით ჩამოიყვანა მირიანის მამა — გიორგი, ორი ამხანაგითა და გამოცდილი მყვინთავეებით, რომელთაც სწვდასხვაგვარი ჩანგლები წამოედოთ მდინარის ფსკერზე გვამის საძებნად.

შემთხვევის ადგილიდან თხუთმეტ კილომეტრამდე მთელი მდინარის ფსკერი გადაჩრდიკეს, სამ დღეს ეძებეს, მაგრამ ვერაფერი ნახეს. ბოლოს ახლო-მახლო მცხოვრებ აზერბაიჯანელებს თავიანთი მისამართი დაუტოვეს, თხვეს თვალი სჭეროდათ და, თუ წყალი დამხრჩვალის გვამს ამოატივტივებდა, იმ მისამართზე დაეშობოთ ეცნობებნათ, რისთვისაც უხვ ჯილდოს შეჰპირდნენ, და თბილისში დაბრუნდნენ.



ყმაწვილის მშობლების ცოდვით ყველას გული ეწვოდა, მაგრამ მათზე უფრო მეტად დათა პაპა იყო საცოდავი, რომელიც ბავშვის დაქარგვაში თვითონ გრძნობდა თავს დამნაშავედ და ვეებერთელა კაცი მუშტისოვნად იყო მოკუნტული. ერთთავად იმს გაიძახოდა: მე მომკალით, ხალხო! მე ჩამაქვავეთ! ჩემი ბრალიაო!

მაგრამ მის ჩასაქოლად ვის ეცალა?! ცხედრის ნაცვლად მირიანის ტანსაცმელი ეწყოთ წინ და დასტიროდნენ. მირიანის დაკარგვის დღიდან დათა-პაპას პირში არაფერი ჩაუშვია. ცალკე მწუხარებამ და ცალკე შიმშილმა მთლად ჩაუჭრო სიცოცხლის ნიშან-წყალი თვალღებში და სამარიდან ამოღებულს ჰგავდა. ამ მდგომარეობას ისევ დიდება ტახომ მიაქცია ყურადღება. ვისიც უფრო ძალიან ეშინოდა დათას, შვილიშვილის დაკარგვისათვის დამახრჩობსო, ისევ იმან უპატრონა:

— შეჭამე რამე, თვალმც დაგიდგება, ბებერო! არაფერი მოგივიდეს და ემანდ არ გადაბრუნდე, თორემ შენი ჯავრი ვისა აქვს! ეს ისეთნაირად თქვა და თან საქმელი მიუტანა, რომ დათამ უარი ვედარ უთხრა, თავს ძალა დაატანა, ერთი ჭიქა არაყი დალია, ლუკმაც შეჭამა და ოდნავ მოსულიერდა, მაგრამ მას მოსულიერება მაინცდამაინც დიდად აღარ აინტერესებდა. აღარ შეეძლო იმ ასურათის ყურება თუ როგორ მოდიოდნენ მირიანის სკოლის ამხანაგები ყოველდღი, ბელურების გუნდით გაჩერდებოდნენ და თვალცრემლიანი უყურებდნენ თავიანთი მეგობრის ტანსაცმელს.

მომტირალბთან ერთად გამამხნეველები და მრჩეველიც ბევრი გამოჩნდა. ზოგნი ამტკიცებდნენ: ძებნის თავის დანებება როგორ შეიძლებოდა, მინგეჩაურამდე უნდა ჩასულიყვნენ უსათუოდ, ან გზაში იპოვნინდნენ და ან იქ ზღვაში უნდა მოენახათო. ძველი ხალხი კიდევ იმას ურჩევდა: თხა უნდა ჩაასრქოთ იმ ადგილას წყალში სა დაც ყმაწვილი დაიხრჩო, და იმ თხის სამაგიეროდ მდინარე უსათუოდ დამხრჩვალის გვამს დაგიბრუნებთო.

რა თქმა უნდა, გიორგისა და ეთერს ასეთი მრჩევლებისათვის ყურები არ უთხოვებიათ, მაგრამ დიდება ტახომ უკვე გაგზავნა მეზობლები ბაზარზე, ერთი თხა აყიდვინა და გასამგზავრებლად ემზადებოდა თვალცრემლიანი.

**თაპი მემორა**

უკანასკნელად რომ გადასცურა მტკვარი მირიანმა, ცოტა ხანს იქ შეისვენა და გაღმა ნაპირები ცნობისმოყვარეობით მოათვალიერა. ერთ ალაგას, პატარა მოფარებულ ყურეში, შორიდან რაღაც შემჩნია. ახლოს მივიდა და დაინახა: შესანიშნავი, მკვიდრად ნაკეთები ახალი მოტორიანი ნავი იდგა ფოტოროს ძირში, ტოტებგადმოჩნდნებულ ტირაფქვეს საგულდაგულად შეხამებული. ქარმა გასცა ნავი — როდესაც მძლავრად დაუბერა და ტოტები გადასწია ბიჭმა დაინახა იგი.

ნავზე მოტორის გარდა, ყოველ შემთხვევისათვის, ნიჩბებიც იყო მორგებული და ეტყობოდა, რომ დიდი ხნის მიტოვებული არ უნდა ყოფილიყო. ჯერ მისი პატრონის ნაფხურებიც არ წაშლილიყო ლამაზე.

ბიჭი რომ ნავის მფლობელის ნაფხურებს ათვალიერებდა, ხელუხლებლად კაცის ფეხდაუდგამ ტევრში თითქოს იმ ნაფხურებს გზა გაუკვდივითაო, პატარა ბილიკის მსგავსი რამ შემჩნია. ბევრი აღარ უფიქრია: გაჰყვა იმ ნაფხურებს, გაჰყვა, და შუაგულ ჭალაში შევიდა, რომელიც ისე იყო გადახურული ტირიფებითა და მათზე ასული ხვიარებით, რომ მზის შუქიც ვერ ატანდა შიგ. რაც შიგნით მიიწევდა ბავშვი, ბილიკი უფრო აშკარად ემჩნეოდა და ინტერესიც უფრო უცხოველდებოდა ყმაწვილს. სად და ვისთან მიიყვანდა ის ბილიკი?! მაგრამ ბოლოს თანდათან შიში შეეპარა. ის იყო გამობრუნებას აპირებდა რომ, წინ, მცირე ფორზე, ბალახისფერი ბრეწენტის პატარა კარავი შემჩნია და შეჩერდა. აქ ისევ ცნობისმოყვარეობამ სძლია და ნელნელა წავიდა კარვისაკენ. ისე უნდოდა შეეხედა კარავში და დაეთვალიერებინა იგი რომ, შიგ თუ ვინმე იქნებოდა, მას ვერ შეემჩნია. ასეც მოიქცა.

ბიჭი რაკი ფეხშიშველი იყო, ისე უხმაუროდ მიიპარებოდა და

ისე ფრთხილად ადგამდა ფეხს, რომ მისი სიფრთხილე კატასაც შეუმურღბოდა. მაგრამ კარვის კარებში შეიხედა რაღაც არა, იქიდან ერთმა წყვილმა თვალმა ელვასავით შემოაჩათა. შეშინებული უკან გადმოხტა ვახაქცევად, მაგრამ გვიანდა იყო.

— შეხდე! — გაისმა მრისხანე შეძახილი და კარებიდან ვეფხვით გამოხტა მზისა და ქარისაგან სახედამწვარი, დიდი ხნის პირგაუპარსავი, ორმოციოდე წლის ბრეც მამაკაცი.

ბიჭი შეშინებული იქვე შეჩერდა და გაქცევა აღარც კი უცდია რადგან არავისთან არაფერი დანაშაული არ მიუძღვოდა და, მართლაც, რატომ უნდა გაქცეულიყო.

კარვის ბინადარმა ტრუსის აშარა მირიანი თავიდან ფეხებამდე აათვალიერა-ჩათვალიერა და ის პირველი მრისხანე გამოხედვა თანდათან მოსცილდა. შემდეგ მშვიდად მიმართა ბავშვს:

— აქ მო, ნურაფრისა გეშინია!

— რა გნებავთ? ისე შემოვიხედე, — თავი იმართლა ბავშვმა.

— აქ მო, შემოხედვა არ გიშლი! ვინა ხარ და აქ საიდან გაჩნდი. რა გქვია სახელი?

— მირიანი. თბილისიდან ვარ, პაპას წამოგყევი სათევზაოდ.

— ჰოო! შენ იმ მოხუცებს ახლავხარ, ჩანგლებს რომ აგებდნენ წელან? ძალიან კარგი. აქ მო, ცოტა რამეს გკითხავ და ისევ წადი. მეც თბილისელი მეთევზე ვარ. ავადმყოფი მიწვეს კარავში და იმას ვერა ცვლილდები.

მირიანი შეჰყვა კარავში, სადაც ორი დასაკეცი საწოლი იდგა. ერთი მათგანი ცარიელი იყო, მეორეში მართლაც მირიანის ტოლი ყმაწვილი იწვა, რომელსაც მაღარიის შეტევების შემდეგ ღრმად ჩასძინებოდა და აჩქარებით სუნთქავდა.

— შეილია ჩემი. აქამდე დღეგამომშვებით აციებდა, ახლა ყოველდღე დაუწყო. ლამის მომიკლას ბავშვი ამ წყეულმა ციებამ. — უთხრა კარვის პატრონმა მირიანს ხმადაბლა და თითქოს შვება იგრძნო, ადამიანს რომ დაეღაპარაკა.

— კი, მაგრამ, აქ რათა გყავთ ავადმყოფი? რატომ თბილისში არ წაიყვანთ? აქ, ალბათ, წამალსაც ვერ იშოვნით. — უთხრა გულუბრველო თანაგრძნობი მირიანმა და სახეში შეაშტერდა მასპინძელს.

— თბილისში? როგორ გითხრა... ჩვენი საქმე ცოტა სხვანაირად არის, ბიძიკო. ჯერჯერობით თბილისში არ შეიძლება ჩვენი ცხოვრება, თორემ ამ ტყეში რა დამაყენებდა.

— თბილისში არ შეიძლება თქვენი ცხოვრება?! — იკითხა მირიანმა და სახეზე გაკვირვება გამოეხატა. — რატომ არ შეიძლება?

— ეს ცოტა გრძელი ამბავია, — წარბი შეიკრა მასპინძელმა უკმაყოფილოდ. უკეთესია ნურც მე მკითხავ, რატომ არ შეიძლება თბილისში ჩემი ცხოვრება, და ნურც ნურავის ეტყვი, რომ აქა მნახე. კარგი?!

პატარას სახე წამოუწითლდა, ეტყობოდა შეეშინდა კიდევ. საიდუმლოს შენახვის იმედს არ იძლეოდა მისი გამომეტყველება, რის გამო მასპინძელმაც ენაზე იკბინა. გამოჰკითხა თუ სადა მუშაობდა ან მისი მოთევზავე პაპა, რომელიც ახლა რიყეზე ჩანგლებთან დაფათურებდა, ან მისი მამა რა მოხელე იყო.

— პაპა ყოფილი რკინიგზელია, ახლა პენსიას ღებულობს. მამაჩემი კი პროკურორად მუშაობს, — უპასუხა მირიანმა და, რა იცოდა საცოდავმა, თუ ამ გულმართალი პასუხით რაოდენ მწუხარებას მიაყენებდა თავისიანებს.

ბავშვის პასუხმა, თითქოს რამე უჩხვლიტესო, ისეთნაირად იმოქმედა მასპინძელზე:

— პროკურორად მუშაობს?! ჰმ! ვერა ყოფილა საქმე კარგად! ახლა, აქედან რომ წახვალ, რა თქმა უნდა, ყველაფერს უამბობ სახლში. მარტო მეთევზე ბებრები რომ იყვნენ, საშიში არაფერია. თუნდა ისინი აქაც მოვიწვიო, არაფრის რიდი არა მაქვს, მაგრამ პროკურორ კაცთან ჩემი ადგილ-სამყოფლის გამხელა შეიძლება? ჩემო დაუპატოებელი სტუმარო, ნუ კი გეწყინება და, სანამ ჩემი ვახტანგი არ გამოგჯანმრთელდება ისე, რომ აქედან კარავი ავყარო და სხვაგან გადავიწაცვლო უშიშარ ადგილზე, მანამ იძულებული ვარ შენც აქა მყავდე.

ყველაფერი ეს მოხსინა მირიანმა. ჯერ ხუმრობა ეგონა და ვერ წარმოედგინა, რომ ასეთი ძალადობა შეეძლოთ ეხმარათ მის მიმართ, მაგრამ როდესაც წამოიწია წასახველად, მასპინძელი სწვდა მაჯაში:

— ყმაწვილო! მე შენ გითხარი, რაც საჭირო იყო. არაფერი ცუდი შენთვის არ მინდა, მაგრამ მდგომარეობა მაძულებს ჩემდაუნებურად ცოტაოდენი მწუხარება მივაყენო შენს მშობლებს. ამას მე შემდეგში, რა თქმა უნდა, უსათუოდ გამოვიხსიდი, როგორც კი საშუალება მომიცემა, მაგრამ ახლა გულახდილად გეუბნები: თუ გაქცევას შეეცადები და საფრთხეს გაგვიწადებ, ოდნავ არ შევყოყმანდები, სანადირო თოფით კურდღელსავით მოგკლავ. გეხმის? ცარიელი სიტყვები არ გეგონოს..

— კი, მაგრამ, ბიძა, აქ რომ დავრჩე და აღარ მივიდე, პაპა გაგიჟდება! — უთხრა შეშინებულმა ბავშვმა.

— ეგ უკვე აღარ ვიცი, ვინ გაგიჟდება და ვინ მოჰკვნიანდება. ძალიან ვწუხვარ, მაგრამ რაც ვითხარი, იმაზე მეტის შეპირება არ შემიძლია. იმის გულისხმავს, რომ ერთი ორი დღე არ იდარდონ შენმა მშობლებმა, მე თვითონ გაგატანო ჩემი მისამართი პრკოპრორთაში!

ლაპარაკზე ავადმყოფ ბავშვს გამოედგინა და მამის გარდა კარავში სხვაც რომ შენიშნა, სახეზე გაკვირვება გამოეხატა, თქმით კი არაფერი უთქვამს, მხოლოდ გაფიცებული ტურების ცმაცუნით მამას რაღაც ანიშნა.

— წყალი გინდა? ახლავე!

წყალი რომ მოხვა, ბავშვმა თავი ტიტველა სტუმრისაკენ მიაბრუნა და, თავის ჭკუის აღამიანი რომ დანახა, თითქმის თვალეში სიცოცხლე შეემატა. მიუხედავად მალალი ტემპერატურისა, ლაპარაკის ხასიათზე მოვიდა:

— რა გქვია?

— მირიანი!

— სადა ცხოვრობ?

— თბილისში.

— მერე აქ საიდან გაჩნდი? რამდენი ხანია ქართველი ბიჭები აღარ მინახავს. სანამ ავთ გახვდებოდით, მტკვრის ნაპირებზე აწერბიჯანელ მწყემს ბიჭებს ვხვდებოდით ხოლმე.

— აი, ახლა საგანკებოდ მოგიყვანე ამხანაგო, ვახტანგ! სანამ კარგად არ გახდება, ეს ბიჭი აქედან არ წავა. თუ არ იწერვიულებ და, რასაც გეტყვი, ყველაფერს დამიჯერებ, მალე გამოჯანმრთელდები. მაშინ ორივეს თბილესში წაგიყვანთ. შენ იქ ისევ სკოლაში ივლი. კარგი? — უთხრა აღერსით მამამ.

ამ სიტყვების გაგონებაზე ბავშვს სახე გაუბრწყინდა, საწოლიდან ასადგომად წამოიწია და რიხიანად უპასუხა მამას:

— მე ახლაც არაფერი მტკივა, შემიძლია აღვმამა. — მაგრამ თავის ტკივილმა სახე დაუღმეპა და დასუსტებული ისევ თივით გატენილ ბალიშზე მიწვა.

— იწეკი, იწეკი, ვახტანგ! მართლა, ამ მოგონებაზე ბარემ ქინაქინაც გადაყლაპე, — უთხრა ბავშვს და, საბარგო ტომარა რომ გახსნა, იქიდან მირიანს ახალი მაისურა და ვახტანგის ერთი ძველი შარვალი ამოუღო: — ამა, ჯერჯერობით ეს ჩაიცვი, ტატველი ხომ არ იქნები!

ქინაქინას ხსენებაზე ავადმყოფს გააჟრჟოლა, მაგრამ მირიანთან დაცინვინა და ულაპარაკოდ გადაყლაპა მწარე აბი, რომელსაც არავითარ შემთხვევაში არ იღებდა მანამდე. მიუხედავად ამისა, ბავშვი კარგ ხასიათზე დადგა, ეტყობოდა ძალიან გაუხარდა მეგობრის შოვნა. მირიანს კი, პირიქით, ძალადობის გამო, რასაც მის მიმართ იჩენდნენ, გული ეტანჯებოდა. ტანსამოსი კი ჩაიცვა და ერთა ხანობა დაპირა გაქცეულიყო, ან გაპარულიყო, მაგრამ ვახტანგის მამის მტკიცე მუქარამ შეაშინა. მას ისეთი დამაჯერებელი ტონი და თანაც ისეთი მოტივი ჰქონდა, რომ მისგან ყველაფერი იყო მოსალოდნელი. სწორედ ამის გამო, როდესაც ჩამოხველდა და გადმიდან მიტკა რუსის ძახილი შემოესმა, უცბად ყურები სტკეცტკა, მაგრამ საპასუხო დაძახება მაინც ვეღარ გაბედა, ერთი ცქვიანხით და გაბრაზებულმა კაცმა შეასრულა თავისი მუქარა!


და ბავშვს შიშით გააჟრჟოლა... საცოდავად მოიკუნტა კარვის კუთხეში დაგროვილ დამპყნარ თივაზე. კარგა ხანს იჯდა იგი ჩაფიქრებული. ხოლო როდესაც გადმიდან მიტკას ძახილი მიწვდა და ყველაფერი მიწყნარდა, კარვის მფლობელმა მირიანი იმ ბილიკით წაიყვანა, რომლითაც ამ დაწყევლილ კარავს მოადგა. ბიჭის დახმარებით ყურეში მიბმული ნავი მშრალზე ამოიტანა და ჭალაში საიმედო ადგილას დაშალა. შემდეგ ისევ კარავში დააბრუნა მირიანი და სასტიკად აუკრძალა მტკვარზე უფისოდ გასვლა.

საღამური ლამაზი, რომელსაც გარშემო უამრავი ჯარვანა ღახტრიალებდა, მღვრიე შუქს აფრქვევდა კარავში დარჩენილ ავადმყოფს, და იქ მიბრუნებულ მირიანს გული უფრო დაუშვიძნდა. ამ ფიქრებში რომ იყო გართული, იგი ვახტანგის მიიბატიყო ვახტანგის საწოლთან მამამ, რომელსაც გადმობრუნებულ ყუთზე თავის მიერ გამოყვანილი შავი ხიზილალა, ახალდაჭერილი, მარილში მოხარშული ლოქო და აწერბიჯანული ლავაშები დაეღაგებინა.


მოვიგებული მირიანი მადიანად შეეცქა გემრიელ საქმელს, რის გამოც ავადმყოფს მამამისმა შენიშვნა მისცა:

— აბა, უყურე, ვახტანგ, რა გემრიელად ჭამს! კიდევ იმიტომ არის ასე ღონიერი. მტკვარი გადმოლახა ბიჭმა წელან რომ ვუყურებდი მაგის კუნთებს, ვფიქრობდი: ასეთი კაცი ყველაფერს აიტანს და ავთაც იშვიათად გახდება-მეთქი. სწენ რომ ასეთი ჭამა შეგეძლოს, მაშინ რაღა მიშავს!

ვახტანგმა საპასუხოდ ლავაშში შავი ხიზილალა ბლომად შეავსო და მონღოლებით ჩაკბინა. თუმცა სახეზე ეტყობოდა, რომ არც ისეთი მადი უნდა ჰქონოდა, მაგრამ გულის მოსაგებად თავს ძალადატანა.



კარვის ბინადარმა მირიანი თავიდან ფეხებამდე აათვალყირა-ჩათვალყირა.



— განა არა ვჭამ, მამი, მაგრამ სულ მუდამ თევზი და ხივი-  
ლალა მომწყინდა. აბა ახლა სხვა საჭმელი მომიტანე, თუ არ ვჭამო!

— კარგი, კარგი, შვილი! ოღონდ შენ რამე შეჭამე და გაუჩი-  
ნარს გაგჩინე. ეგ კი მართლა ჩემი ბრალია... რა თქმა უნდა, ერთი  
და იგივე საჭმელი ყოველდღე ძნელია... ახლა კი, აი, შენ აქ დაი-  
ძინე, მირიან! — უთხრა სტუმარს, როცა ვახშამი მოთავსეს, და თავის  
საწოლზე მიუთითა, თვითონ კი კარვის კარებთან დაყრილი თივა  
გაასწორა, მიწვა დასაძინებლად და ორივე ახალგაზრდას ძილინე-  
ბისა უსურვა.

მირიანს დიდი ხვეწნა აღარ დაჭირვებია, საწოლზე მოეწყო,  
მაგრამ მალე არ დაეძინა; მოსვენებას არ აძლევდა უცნაური საი-  
დუმლო. ვინ იყო ეს კაცი — ასე წარბეჭედილი და წვერმოშვებული  
ასე განაპირობებული და გაგარეულებული, რომლის სახელიც არ  
იცოდა ბიჭმა? მძარცველი? მკვლელი? არა! არა! შეუძლებელი იყო  
და ათასი შთაბეჭდილებით დაღლილმა მირიანმა უცნაურ კაცს,  
ძილ-ბურანში, გარეული კაცი უწოდა...

თ ა ვ ი მ მ ს ა მ მ

მეორე დღეს უქარო და წყნარი დილა გათენდა. ფრინველების  
ხმაზე გამოეღვიძა მირიანს. თითქოს რაც ჭალაში მგალობელი ფრინ-  
ველები იყვნენ მის შესახვედრად გამართულ კონცერტზე მოუწვე-  
ვითაო, ისეთი ურამული იდგა იმ მწვანეში ჩაფლული კარვის  
ირგვლივ.

ვახტანგს ისევ ეძინა. იგი შედარებით მშვიდად სუნთქავდა ამ  
დღით. მამამისი უკვე ამდგარიყო, კარვის კარებთან იდგა და მძი-  
ნარე ბავშვს დასაყურებდა ჩაფიქრებული.

მირიანმა რომ გაიღვიძა, თვალი მოავლო თუ არა იქაურობას  
უმალ გაახსენდა სადაც იყო. უცბად გადმოხტა საწოლიდან, გარეთ  
გამოვიდა და მასპინძელს არც კი მორიდებია, უკვე ჩვევად გადაქ-  
ციულ დილის გამამხნეველ ვარჯიშს შეუდგა.

— აი, ეს კარგია, ბიძიკო! ბარაქალა, ბარაქალა! ასე უნდა  
ჯანმრთელობის დაცვა. მაგაზე უკეთესი არაფერია ადამიანისათვის.  
მე თავათ არც ერთ დღეს არ გამოვტოვებ, რომ არ ვივარჯიშო. ამ  
დღითაც, სანამ შენ გაიღვიძებდი, მე უკვე დაგახწარი და ვივარ-  
ჯიშე. ამიტომ არის, რომ ეს ძალღუთმულად გდება ვერაფერს  
მიშვრება, პირიქით, ძალიან კარგადაც ვგრძნობ თავს.

შემდეგ მასპინძელმა კარვის გარშემო გოგირდი ააბოლა ქვეწარ-  
მავლების დასაფრთხობად და მერე სტუმარს მიუბრუნდა:

— ახლა კი, მირიან, გადაიცვი მაისურა და წამოამყე. დღეს  
მენიუ უნდა შევუცვალო ვახტანგს და მგონი არც მე და შენ ვაწ-  
ყენს ხოხბის ხორცი. გულახდილად რომ ვთქვა, მაინც და მაინც,  
თევზს ვედარც მე ვატან გემოს. წავიდეთ, სანამ ვახტანგი გაიღვი-  
ძებდეს, მანამ ჩვენც დავბრუნდებით.

ამ სიტყვებით ორღულთან სანადირო თოფს წამოავლო ხელი  
და მირიანთან ერთად გასწია ტყე-ტყე. ისინი ფრთხილად იკვლევდ-  
ნენ გზას ბუჩქებში, მაგრამ დილის ნამით სულ გაიღუპნენ.

კარვიდან ნახევარი კილომეტრიც არ ექნებოდათ გავლილი,  
რომ ჭალაში ალაგ-ალაგ გამოჩენილ პატარა ახლებში გავიდნენ  
სადაც სიმინდი ეთესა. იმ სიმინდის პირებში ერთი-ორგან აუფრინ-  
დათ ხოხობი ახლად ფრენანასწავლი ლაპრებით. მონადირემ ორჯერ-  
ვე გამართა თოფი სასროლად, მაგრამ ისევ თავი შეიკავა, თოფი  
ძირს დაუშვა და აღერსით გააყოლა თვალი ფრინველს, რითაც მი-  
რიანის გაკვირვება გამოიწვია.

— რატომ არ ესვრით, ძია? — ჰკითხა ბავშვმა. — ეგ ხომ იჭმება?!

— არა, მაგის მოკვლა ახლა არ შეიძლება. ხომ ხედავ, პატარა  
ლაპრები აწყვენენ. ეგ რომ მოკვლა, ისინი თითქმის ყველანი დაიღუ-  
პებიან, რადგან გამოუცდელები არიან. მაგათ ჯერ არც საჭმლის  
შოვნა შეუძლიათ დამოუკიდებლად და არც მტრისაგან მორიდება.  
მტერი კი ძალიან ბევრი ჰყავთ.

— აბა, მამ, რაღად წამოვედით? — უთხრა მირიანმა.

მაგრამ წინადადება არა ჰქონდა დასრულებული რომ, მათ

წინ გამაყრუებლად დაიდგარა მამალმა ხოხობმა, ლულულული  
ავარდა პირდაპირ ზევით და მისი ფერადი ბუმბული ისე აელვარ-  
და მზის სხივებზე, თითქოს ცეცხლის ბურთი ავარდა ცაში.

ახლა კი აღარ შეყოყმანებულა მონადირე, ინსტიქტურად  
ააყოლა აფრინილ ხოხობს თოფის ლულა და, როდესაც ზენიტისა-  
კენ მიმავალმა ფრინველმა ჰორიზონტალურად გაფრენა სცადა,  
თოფმაც დაიქეჯა. ის ცეცხლის ბურთი ჯერ ჰაერში შეჩერდა და  
შემდეგ მაყვლის პატარა ჩირგვს დაენარცხა.

გახარებული მირიანი ნანადირევს მივარდა. ყმაწვილმა ხელში  
აიღო იგი და ჯერ კიდევ იმის თვალჩერებაში იყო — ლამაზი შეფე-  
რილობის ბუმბულისათვის თვალი ვერ მოეშორებია, რომ თოფმა  
მეორეთაც დაიქეჯა.

— ახლა კი გვეყოფა, — წარმოთქვა „გარეულმა კაცმა“ და ნა-  
ნადირევის ასაღებად წავიდა.

მირიანმა რომ მასთან მიიბრინა, ისეთივე ხოხობი ეჭირა ვახ-  
ტანგის მამას, როგორც მას ჰქონდა.

— განა ესენი კი ცოდონი არ არიან? მათ რატომღა ხოცავთ? —  
შეეკითხა მირიანი.

— ესენი მამლებია, ჩემო მირიან! ბარტყებს უმამოდაც დაზრ-  
დიან დედლები. რა თქმა უნდა, სასიკვდილოდ ესენიც ცოდონი  
არიან, მაგრამ აბა რა ვქნა? ჩვენც რომ ჭამა გვინდა? რა ვაჭამოთ  
შენს მეგობარ ვახტანგს? წუხელ თევზი რომ დაგვიწუნა!

კარავში რომ მივიდნენ, ავადმყოფი გაღვიძებული დახვდათ,  
მამას უთხრა: ორივე სროლის ხმა გავიგონეო, და ხოხბებს დიდხანს  
ათვალიერებდა ცნობისმოყვარეობით.

კარვისათვის რომ ყურადღება არავის მიექცია, ფიჩხის ცეცხლ-  
ზე არ გააკეთა ხოხბები. სიფრთხილისათვის პატარა ნავთქურა გაა-  
ჩაღა, რომელსაც განსაკუთრებულ შემთხვევაში ანთებდა ხოლმე.  
ორიოდე საათის შემდეგ სამივენი უგემრიელეს ჩახხობილს შეექი-  
ნენ. ვახტანგმა მართლაც მადიანად ჭამა და, თითქოს თვლებში სი-  
ნათლე მიეცაო, ისეთიანად გამოიყურებოდა. იმ დღეს, მისი მამის  
ტყმით, წინააღმდეგ შედარებით უფრო იოლ ფორმებში გააცოცვა.  
საღამო ჟამს ძლიან კარგ სასიათზე იყო ბიჭი. წამოადგა კიდევ სა-  
წოლიდან, კარვიდანაც გამოვიდა და აღარც თავის ტაკვილს  
გრძნობდა. რა თქმა უნდა, ქინაქინის გადაყლაპვაც არ დავიწყებია.

ავადმყოფი გამოკეთების გზას ადგა. ამას მისი მამაც გრძნობ-  
და. ორ დღეში მირიანის თბილისში გასტუმრებას და კარვის აყრას  
აპირებდა. მაგრამ მეორე დღეს, სადილს რომ შეექცეოდნენ, მათი  
კარვის გადასწვრივ, მტკვარზე მოტორის თუხთუხმა იქაურობა გა-  
აყრუა.

შეერთა მასპინძელი. ჯერ ეგონა, ჩემი დამალული ნავი ცილა-  
ცამ იპოვა და მოიტაცაო. თუმცა ხმაზე ცნობდა, რომ ის არ უნდა  
ყოფილიყო, მაინც დაეკვდა: შორიდან აღბათ ასე მესმისო. ბევრი  
აღარ უფიქრია: მირიანს უბრძანა კარვიდან არ გამოსულიყო და  
ავადმყოფისათვის ეყარაულნა. თვითონ კი სანადირო თოფს წამოავ-  
ლო ხელი და ბილიკზე შლაგა-შლუგით გაფარდა. გულისხმობით  
მიიჭრა ჭალაში თავის დამალულ ნავთან და მაშინდა დამშვიდდა,  
როცა იგი ხელუხლებლად იდგა ბუჩქებს შესამებული.

მაგრამ წყალზე რომ გაიხედა ქურდულად, შემდეგი სურათი  
წარმოუდგა თვალწინ: ოთხი კაცი მტვრის კალაპოტში გარდიგარდ-  
მო დაატარებდა მოტორიან ნავს და ჩანკლებით გულდასმით ეძებდა  
რაღაცას. ძნელი არ იყო იმის გამოცნობა, თუ რაში იყო საჭმე-  
ისინი მირიანის ჭირისულეები იყვნენ. ცხადი იყო ბავშვს დამხრ-  
ვლად თვლიდნენ და ახლა მის გვამს ეძებდნენ.

ახლად იგრძნო, თუ რამოდენა ბოროტება ჩაიდინა მირიანის  
მშობლების წინაშე. ეტყობოდა, სამკუთხედად გაკეცილ წერილს,  
რომელიც მან ერთ შოფერს გაატანა ფოსტაში ჩასაგდებად, ჯერ  
ვერ მიეღწია მირიანის მშობლებამდე, რომლითაც აცნობებდა, არ  
იღარდოთ, შვილი მალე დაგებრუნდებაო. ახლა კი გვიანდა იყო.  
მისი იქ გამოჩენა არავითარ შემთხვევაში აღარ შეიძლებოდა. რა-  
ნაირი ბოდიშიც არ უნდა მოეხადა მათ წინაშე, გამწარებული ხალ-  
ხი მას აღბათ ცოცხალს არ გაუშვებდა. ეს ძალიან კარგად ესმოდა

და ამიტომ ისევ სასწრაფოდ უკანვე გაიძურწა, ვინმემ არ შემამჩნიოს და ყველაფერი არ გამოაშკარავდესო. ბილიკე რომ მიდიოდა, გულში ახლა იმის შიში გაუჩნდა: ვაი თუ მირიანი გაიპარა, თავისიანებთან მივიდეს, ყველაფერი უამბოს და ჩემი სადგომიც მოასწავლოსო. ასე რომ ყოფილიყო მართლა, მაშინ ძალიან მძიმე მდგომარეობაში ჩავარდებოდა... სად უნდა გაქცეულიყო ავადმყოფი ბავშვით! ეს წარმოიდგინა და ნაბიჯს მოუმატა. თუ მართლაც მირიანი იქ არ დახვდებოდა, ყველაფერი უნდა მიეტოვებინა; კარავიც, საწოლიც, ნივთებიც, საჭმელიც, და ავადმყოფი ბავშვით სადმე მიმალულიყო.

მაგრამ მირიანს ფიქრადაც არ მოსვლია თავისი მასპინძლის დავალების შეუსრულებლობა და ავადმყოფის მითვება, ხანამ მისი მამა არ დაბრუნდებოდა.

\*

შეშინებული მამა კარავში რომ შევიდა, მირიანი და ვახტანგი საუბარში იყვნენ გართული. საუბარი ეხებოდა, რა თქმა უნდა, სკოლასა და ამხანაგებს. ვახტანგმა არ უთხრა რომელ სკოლაში სწავლობდა. ისე კი, საუბრიდან მირიანმა გაიგო, როგორ მონატრებოდა თავისი ამხანაგების ნახვა ვახტანგს. მაგრამ, როგორც მამამისი ეუბნებოდა, ჯერჯერობით ეს თურმე შეუძლებელი იყო.

ამ ლაპარაკის დროს, ხანამ უფროსი მასპინძელი მოვიდოდა, მირიანმა გულუბრყვილოდ ჰკითხა ვახტანგს მამის სახელი, რადგან ისე ვერ გაიგო საუბარში: შვილი—მამას ეძახდა, თვითონ მირიანი—ძიას, სხვა კი არავინ იყო მათთან, რომ მას მაინც მიემართნა ვახტანგის მამისათვის სახელით და მირიანსაც გაეგო, რა ერქვა „გარეულ კაცს“.

— რად გინდა მამაჩემის სახელი, მირიანი?—მიუგო აშკარად შეშფოთებულმა ვახტანგმა.—მამამ გამაფრთხილა არც გვარი გითხრა და არც სახელი. დაბეჭდება ხომ არ გინდა ჩვენი? მირიანი გაშრა.

— არა გრცხვენია, ვახტანგ? მართლაც ის ვიცი თქვენს შესახებ, რომ ქართველები ხართ. რომ მკითხონ, ვისთან იყავი ამდენ ხანსო, რა ვუთხრა? არც სახელი ვიცი [კაცის, არც გვარი. ვინ დაშიჯერებს?]

— არ დაგიჯერებენ და არცაა საჭირო ჩვენც ეგ გვინდა!  
— კი, მაგრამ, თუ ასეა, შენი სახელი რომ ვიცი, სულ ერთი არ არის, მაშინ ეგ რაღად მითხარი?

ბიჭს გაეცინა, რომ იმასაც სათვალავში აგდებდნენ და, ცოტა არ იყოს, ამით კმაყოფილმა უბასუხა:

— ჩემი სახელის ცოდნა რას გამოგადგება? რამდენი ჩემნაირი ვახტანგი არის ქვეყანაზე!

— განა მამაშენი ვინდა არის, ასე საიდუმლოდ რომ ინახავო მის სახელს. თუ ასეთი სახელოვანი კაცია, რომ ყველა იცნობს, ალბათ მაგის დაკარგვაც ყველას ეცოდინება და ძებნას დაუწყებენ.


— იცინა, მაშ... და კიდევ ეძებენ!—რიხით უთხრა ბავშვმა, მერე, უცებ, მუდარით მიმართა მირიანს:

— თუ ძმა ხარ, მირიან თავი დამანებე! მე არაფერიც არ ვიცი ვინ იცნობს მამაჩემს და ვინ არა. ნურაფერს მკითხავ, სულერთია არაფერს გეტყვი...

ეს ისეთიარად უთხრა, თან ისეთი შეწუხებული სახე ჰქონდა, რომ მირიანს შეეცოდა და დაკვავებით უთხრა:

— არა, ვახტანგ! მე ისე გკითხე, თორემ რად მინდა ვიცოდე... მამატიე...

ამ დროს მამაც შემოვიდა და, მირიანი რომ კარავში დახვდა, ცოტა გული დაუმშვიდა, მაგრამ სრულიად დამშვიდებამდე იგი ძალიან შორს იყო—მტკვრიდან წავის მოტორის თუხთუხი მოსვენებას მაინც არ აძლევდა მას. ერთიც ვნახოთ და ვინმეს აწრად მოუვიდა ამ ჭალების დათვლიერება! მაგრამ უშალ დამშვიდდა—რადგან დამხრჩვალს მშრალზე არ დაუწყებდნენ ძებნას.



მოშინებული მირიანი მადიანად შეეჭვა გემრიელ საჭმელს.

გულუბრყვილოდ მჯდარ მირიანს რომ შეხედა ახალმოსულმა, შერცხვა. ბავშვი ზუსტად ასრულებდა მის დავალებას. კარვის მფლობელი კმაყოფილი იყო ამით და თავის მოქმედებასაც ამართლებდა



ყმაწვილის მშობლების ცოდვით ყველას გული ეწვოდა, მაგრამ მათზე უფრო მეტად დათა პაპა იყო საცოდავი, რომელიც ბავშვის დაქარგვაში თვითონ გრძობდა თავს დამნაშავედ და ვეებერთელა კაცი მუშტისოვნიად იყო მოკუნტული. ერთთავად იმას გაიძახოდა: მე მომკალით, ხალხო! მე ჩამაქვავეთ! ჩემი ბრალიაო!

მაგრამ მის ჩასაქოლად ვის ეცალა? ცხედრის ნაცვლად მირიანის ტანსაცმელი ეწყობ წინ და დასტორდნენ. მირიანის დაკარგვის დღიდან დათა-პაპას პირში არაფერი ჩაუშვია. ცალკე მწუხარება და ცალკე შიმშილი მთლად ჩაუჭრო სიცოცხლის ნიშან-წყალი თვალბეჭეში და სამარიდან ამოღებულს ჰგავდა. ამ მდგომარეობას ისევ დიდდა ტანს მიაქცია ყურადღება. ვისიც უფრო ძალიან ეშინოდა დათას, შვილიშვილის დაკარგვისათვის დამახრჩობსო, ისევ იმას უბატრონა:

— შეჭამე რამე, თვალმც დაგიდგება, ბებერო! არაფერი მოგივიდეს და ემანდ არ გადაბრუნდე, თორემ შენი ჯავრი ვისა აქვს ეს ისეთიანად თქვა და თან საჭმელი მიუტანა, რომ დათამ უარი ვეღარ უთხრა, თავს ძალა დატანა, ერთი ჭიქა არაყი დალია, ლუქმაც შეჭამა და ოდნავ მოსულიერდა, მაგრამ მას მოსულიერება მაინცდამაინც დიდად აღარ აინტერესებდა. აღარ შეეძლო იმ ახურათის ყურება თუ როგორ მოდიოდნენ მირიანის სკოლის ამხანაგები ყოველდღე, ბედურების გუნდით გაჩერდებოდნენ და თვალცრემლიანი უყურებდნენ თავიანთი მეგობრის ტანსაცმელს.

მომტირალბთან ერთად გამამხნეველები და მრჩეველიც ბევრი გამოჩნდა. ზოგნი ამტკიცებდნენ: ძეგნის თავის დანებება როგორ შეიძლება, მინგეჩაურამდე უნდა ჩასულიყვნენ უსათუოდ, ან გზაში იპოვიდნენ და ან იქ ზღვაში უნდა მოენახათო. ძველი ხალხი კიდევ იმას ურჩევდა: თხა უნდა ჩაანჩროთ იმ ადგილას წყალში სა დაც ყმაწვილი დაიხრჩო, და იმ თხის სამაგიეროდ მდინარე უსათუოდ დამხრჩვალის გვამს დაგიბრუნებთო.

რა თქმა უნდა, გიორგისა და ეთერს ასეთი მრჩევლებისათვის ყურიც არ უთხოვებიათ, მაგრამ დიდდა ტანს უკვე გაგზავნა მეზობლები ბაზარზე, ერთი თხა აყიდვინა და გასამგზავრებლად ემზადებოდა თვალცრემლიანი.

### თბავი მემორა

უქანასკნელად რომ გადასცურა მტკვარი მირიანმა, ცოტა ხანს იქ შეისვენა და გაღმა ნაპირები ცნობისმოყვარეობით მოათვალიერა. ერთ ალაგას, პატარა მოფარებულ ყურეში, შორიდან რაღაც შეამჩნია. ახლოს მივიდა და დაინახა: შესანიშნავი, მკვიდრად ნაკეთები ახალი მოტორიანი ნავი იდგა ფოტოროს ძირში, ტოტებგადმოჩნდახებულ ტირიფქვეშ საგულდაგულად შეხამებული. ქარმა გასცა ნავი — როდესაც მძღავრად დაუბერა და ტოტები გადასწია ბიჭმა დაინახა იგი.

ნავზე მოტორის გარდა, ყოველ შემთხვევისათვის, ნიჩბებიც იყო მორგებული და ეტყობოდა, რომ დიდი ხნის მიტოვებული არ უნდა ყოფილიყო. ჯერ მისი პატრონის ნაფხურებიც არ წაშლილიყო ლამაზე.

ბიჭი რომ ნავის მფლობელის ნაფხურებს ათვალერებდა, ხელუხლებელ, კაცის ფეხდაუდგამ ტერეში თითქოს იმ ნაფხურებს გზა გაუკვლევიათო, პატარა ბილიკის მსგავსი რამ შეამჩნია. ბევრი აღარ უფიქრია: გაჰყვა იმ ნაფხურებს, გაჰყვა, და უშაგულ ჭალაში შევიდა, რომელიც ისე იყო გადახურული ტირიფებითა და მათზე ასული ხვიარებით, რომ მზის შუქიც ვერ ატანდა შიგ. რაც შიგნით მიიწვედა ბავშვი, ბილიკი უფრო აშკარად ემჩნეოდა და ინტერესიც უფრო უცხოველდებოდა ყმაწვილს. სად და ვისთან მიიყვანდა ის ბილიკი? მაგრამ ბოლოს თანდათან შიში შეეპარა. ის იყო გამობრუნებას აპირებდა რომ, წინ, მცირე ფორზე, ბალახისფერი ბრუნების პატარა კარავი შეამჩნია და შეჩერდა. აქ ისევ ცნობისმოყვარეობამ სძლია და ნელნელა წავიდა კარვისაკენ. ისე უნდოდა შეეხედა კარავში და დაეთვალერებინა იგი რომ, შიგ თუ ვინმე იქნებოდა, მას ვერ შეემჩნია. ასეც მოიქცა.

ბიჭი რაკი ფეხშიშველი იყო, ისე უხმაუროდ მიიპარებოდა და

ისე ფრთხილად ადგამდა ფეხს, რომ მისი სიფრთხილე კატასაც შეშურდებოდა. მაგრამ კარვის კარებში შეიხედა თუ არა, რქიდან ერთმა წყვილმა თვალმა ელვასავით შემოანათა. შემინებული უქან გადმოხტა გასაქცევად, მაგრამ გვიანდა იყო.

— შესდექ! — გაისმა მრისხანე შეძახილი და კარებიდან ვეფხვით გამოხტა მზისა და ქარისაგან სახედამწვარი, დიდი ხნის პირგაუპარსავი, ორმოციოდე წლის ბრეგ მამაკაცი.

ბიჭი შეშინებული იქვე შეჩერდა და გაქცევა აღარც კი უცდი რადგან არავისთან არაფერი დანაშაული არ მიუძღვოდა და, მართლაც, რატომ უნდა გაქცეულიყო.

კარვის ბინადარმა ტრუსის აშრა მირიანი თავიდან ფეხებამდე აათვალერა-ჩათვალერა და ის პირველი მრისხანე გამოხედვა თანდათან მოსცილდა. შემდეგ მშვიდად მიმართა ბავშვს:

— აქ მო, ნურაფრისა გეშინია!

— რა გნებაზე? ისე შემოვიხედე, — თავი იმართლა ბავშვმა.

— აქ მო, შემოხედვას არ გიშლი! ვინა ხარ და აქ საიდან გაჩნდი. რა გქვია სახელი?

— მირიანი. თბილისიდან ვარ, პაპას წამოყვები სათევზაოდ.

— ზოო! შენ იმ მოხუცებს ახლავხარ, ჩანგლებს რომ აგებდნენ წელიწადი? ძალიან კარგი. აქ მო, ცოტა რამეს გკითხავ და ისევ წადი. მეც თბილისელი მეთევზე ვარ. ავადმყოფი მიწვევს კარავში და იმას ვერა ცვილდება.

მირიანი შეჰყვა კარავში, სადაც ორი დასაკეცი საწოლი იდგა. ერთი მათგანი ცარიელი იყო, მეორეში მართლაც მირიანის ტოლი ყმაწვილი იწვა, რომელსაც მალარიის შეტევების შემდეგ ღრმად ჩასძინებოდა და აჩქარებით სუნთქავდა.

— შევიდა ჩემი. აქამდე დღეგამოშვებით აცივებდა, ახლა ყოველდღე დაუწყო. ლამის მომიკლას ბავშვი ამ წყეულმა ციებამ. — უთხრა კარვის პატრონმა მირიანს ხმადაბლა და თითქოს შვება იგრძნო, ადამიანს რომ დაედაპარაკა.

— კო, მაგრამ, აქ რათა გყავთ ავადმყოფი? რატომ თბილისში არ წაიყვანთ? აქ, ალბათ, წამალსაც ვერ იშოვნით. — უთხრა გულუბრყვილი თანაგრძნობი მირიანმა და სახეში შეაშტერდა მასპინძელს.

— თბილისში? როგორ გითხრა... ჩვენი საქმე ცოტა სხვანაირად არის, ბიძიკო. ჯერჯერობით თბილისში არ შეიძლება ჩვენი ცხოვრება, თორემ ამ ტყეში რა დამაყენებდა.

— თბილისში არ შეიძლება თქვენი ცხოვრება?! — იკითხა მირიანმა და სახეზე გაკვირება გამოეჭაბა. — რატომ არ შეიძლება?

— ეს ცოტა გრძელი ამბავია, — წარბი შეიკრა მასპინძელმა უქმაყოფილოდ. უკეთესია ნურც მე მკითხავ, რატომ არ შეიძლება თბილისში ჩემი ცხოვრება, და ნურც ნურავის ეტყვი, რომ აქა მნახე. კარგი?

პატარას სახე წამოუწითლდა, ეტყობოდა შეეშინდა კიდევ. საიდუმლოს შენახვის იმედს არ იძლეოდა მისი გამომეტყველება, რის გამო მასპინძელმაც ენაზე იკბინა. გამოჰკითხა თუ სადა მუშაობდა ან მისი მოთევზავე პაპა, რომელიც ახლა რიყეზე ჩანგლებთან დაფათურობდა, ან მისი მამა რა მოხელე იყო.

— პაპა ყოფილი რკინიგზელია, ახლა პენსიას ღებულობს. მამაჩემი კი პროკურორად მუშაობს, — უპასუხა მირიანმა და, რა იცოდა საცოდვამც, თუ ამ გულმართალი პასუხით რაოდენ მწუხარებას მიაყენებდა თავისიანებს.

ბავშვის პასუხმა, თითქოს რამე უჩხვლიტესო, ისეთიანად იმოქმედა მასპინძელზე:

— პროკურორად მუშაობს?! ჰმ! ვერა ყოფილა საქმე კარგად! ახლა, აქედან რომ წახვალ, რა თქმა უნდა, ყველაფერს უამბობ სახლში. მართო მეთევზე ბებრები რომ იყვნენ, საშიში არაფერია. თუნდა ისინი აქაც მოვიწვიო, არაფრის რიდი არა მაქვს, მაგრამ პროკურორ კაცთან ჩემი ადგილი-სამყოფლის გამხელა შეიძლება? ჩემო დაუპატიუებლო სტუმარო, ნუ კი გეწყინება და, სანამ ჩემი ვახტანგი არ გამოჯანმრთელდება ისე, რომ აქედან კარავი აყვარო და სხვაგან გადავინაცვლო უშიშარ ადგილზე, მანამ იძულებული ვარ შენც აქა მყავდე.

ყველაფერი ეს მოხსენიან მირიანმა. ჯერ ხუმრობა ეგონა და ვერ წარმოედგინა, რომ ასეთი ძალადობა შეეძლოთ ენმართ მის მიმართ, მაგრამ როდესაც წამოიწია წასახველლად, მასპინძელი სწვდა მჯავში:

— ყმაწვილო! მე შენ გითხარი, რაც საჭირო იყო. არაფერი ცუდი შენთვის არ მინდა, მაგრამ მდგომარეობა მაძულებს ჩემდაუნებურად ცოტადენი მწუსარება მივაყენო შენს მშობლებს. ამას მე შემდეგში, რა თქმა უნდა, უსათუოდ გამოვისყიდო, როგორც კი საშუალება მომეცემა, მაგრამ ახლა გულახდილად გეუბნები: თუ გაქცევას შეეცდები და საფრთხეს გაგვიმზადებ, ოდნავ არ შეგყოყმანდები, სანადირო თოფით კურდღელსავით მოგკლავ. გესმის? ცარიელი სიტყვები არ გეგონოს.

— კი, მაგრამ, ბიძა, აქ რომ დავრჩე და აღარ მივიდე, პაპა გაგიჟდება! — უთხრა შეშინებულმა ბავშვმა.

— ეგ უკვე აღარ გიცო, ვინ გაგიჟდება და ვინ მოჭკვიანდება. ძალიან ვწუხვარ, მაგრამ რაც გითხარი, იმაზე მეტის შეპირება არ შემიძლია. იმის გულისხმავს, რომ ერთი ორი დღე არ იდარდონ შენმა მშობლებმა, მე თვითონ გაგატანო ჩემი მისამართი პრკუპროროსან?

ლაპარაკე ავადმყოფ ბავშვს გამოედგინა და მამის გარდა კარავში სხვაც რომ შენიშნა, სახეზე გაკვირვება გამოეხატა, თქმით კი არაფერი უთქვამს, მხოლოდ გაფიცებული ტუჩების ცმაცუნით მამას რაღაც ანიშნა.

— წალი გინდა? ახლავე!

წალი რომ მოხვა, ბავშვმა თავი ტიტველა სტუმრისაკენ მიაბრუნა და, თავის ჭკუის აღმდანი რომ დაინახა, თითქმის თვალღებში სიცოცხლე შეემატა. მიუხედავად მალალი ტემპერატურისა, ლაპარაკის ხასიათზე მოვიდა:

— რა გქვია?

— მირიანი!

— სადა ცხოვრობ?

— თბილისში.

— მერე აქ საიდან გაჩნდი? რამდენი ხანია ქართველი ბიჭები აღარ მინახავს. სანამ ავთ გაგხვდებოდი, მტკვრის ნაპირებზე ზერბაიჯანელ მწყემს ბიჭებს ვხვდებოდი ხოლმე.

— აი, ახლა საგანკებოდ მოგიყვანე. ამხანაგე, ვახტანგ! სანამ კარგად არ გახდება, ეს ბიჭი აქედან არ წავა. თუჯარ ინერგიულად და, რასაც ვეტყვი, ყველაფერს დამიჯერებ, მალე გამოჯანმრთელდები. მაშინ ორივეს თბილისში წაგიყვანთ. შენ იქ ისევ სკოლაში ივლი. კარგი? — უთხრა აღერხით მამამ.

ამ სიტყვების გაგონებაზე ბავშვს სახე გაუბრწყინდა, საწოლიდან ასადგომად წამოიწია და რიხიანად უპასუხა მამას:

— მე ახლაც არაფერი მტკივა, შემიძლია ადგომა. — მაგრამ თავის ტკივილმა სახე დაუდამიჭა და დაუსტებელი ისევ თივით გატენილ ბალიშზე მიწვა.

— იწეკი, იწეკი, ვახტანგ! მართლა, ამ მოგონებაზე ბარემ ქინაქინაც გადაყლაპე. — უთხრა ბავშვს და, საბარგო ტომარა რომ გახსნა, იქიდან მირიანს ახალი მისურა და ვახტანგის ერთი ძველი შარვალი ამოუღო: — აჰა, ჯერჯერობით ეს ჩაიცვი, ტიტველი ხომ არ იქნები!

ქინაქინას სხენებაზე ავადმყოფს გააყრდოლა, მაგრამ მირიანთან დაირცხვინა და ულაპარაკოდ გადაყლაპა მწარე აბი, რომელსაც არავითარ შემთხვევაში არ იღებდა მანამდე. მიუხედავად ამისა, ბავშვი კარგ ხასიათზე დადგა, ეტყობოდა ძალიან გაუხარდა მეგობრის შოვნა. მირიანს კი, პირიქით, ძალადობის გამო, რასაც მის მიმართ იჩენდნენ, გული ეტანჯებოდა. ტანსამოსი კი ჩაიცვა და ერთი ხანობა დააპირა გაქცეულიყო, ან გაპარულიყო, მაგრამ ვახტანგის მამის მტკიცე მუქარამ შეაშინა. მას ისეთი დამაჯერებელი ტონი და თანაც ისეთი მოტივი ჰქონდა, რომ მისგან ყველაფერი იყო მოსალოდნელი. სწორედ ამის გამო, როდესაც ჩამოხველდა და გადმიდან მტკა რუსის ძახილი შემოესმა, უცბად ყურები სცქვიტა, მაგრამ საპასუხო დაძახება მაინც ვეღარ გახედა, ერთი ცვენახოთ და გაბრაზებულმა კაცმა შეასრულა თავისი მუქარა!


და ბავშვს შიშით გააყრდოლა... საცოდავად მოიკუნტა კარგის კუთხეში დაგროვილი დამტკნარ თივანე. კარგა ხანს იჯდა იგი ჩაფიქრებული. ხოლო როდესაც გადმიდან მტკას ძახილი მიწყდა და ყველაფერი მიწყნარდა, კარგის მფლობელმა მირიანი იმ ბილიკით წაიყვანა, რომლითაც ამ დაწყევლილ კარავს მოადგა. ბიჭის დახმარებით ყურეში მიბმული ნავი მზრალზე ამოიტანა და ჭალაში საიმედოდ ადგილას დაშალა. შემდეგ ისევ კარავში დააბრუნა მირიანი და სასტიკად აუკრძალა მტკვარზე უიმისოდ გასვლა.

სალამური ლამაზი, რომელსაც გარშემო უამრავი ჯარვანა დასტრიალებდა, მღვრიე შუქს აფრქვევდა კარავში დარჩენილ ავადმყოფს, და იქ მიბრუნებულ მირიანს გული უფრო დაუშობდა. ამ ფიქრებში რომ იყო გართული, იგი ვახტანგის მიიპატიჟა ვახტანგის საწოლთან მამამ, რომელსაც გადმოზრუნებულ ყუთზე თავის შივი გამოყვანილი შავი ხიზილადა, ახალდატყრილი, მარლში მოხარშული ლოქა და აზერბაიჯანული ლავაშები დაეღებინა.

მოხივებული მირიანი მადიანად შეეცქა გემრიელ საჭმელს, რის გამოც ავადმყოფს მამამისმა შენიშვნა მისცა:

— აბა, უყურე, ვახტანგ, რა გემრიელად ჭამს! კიდევ იმითა არის ასე ღონიერი. მტკვარი გადმოლახა ბიჭმა! წელან რომ ვუყურებდი მაგის კუნთებს, ვფიქრობდი: ასეთი კაცი ყველაფერს იტანს და ავითაც იშვიათად განდებამეთქი. ლეშენ რომ ასეთი ჭამა შეგეძლოს, მაშინ რაღა მიშავს!

ვახტანგმა საპასუხოდ ლავაშში შავი ხიზილადა ბლომად შეახვია და მონდომებით ჩაკბინა. თუმცა სახეზე ეტყობოდა, რომ არც ისეთი მადა უნდა ჰქონოდა, მაგრამ გულის მოსაგებად თავს ძალა დაატანა.



კარგის ბინადარმა მირიანი თავიდან ფეხებამდე აათვალთვინა-ჩათვალთვინა.



— განა არა ვჭამ, მამი, მაგრამ სულ მუდამ თევზი და ხიზი-  
ლალა მომწყინდა. აბა ახლა სხვა საჭმელი მომიტანე, თუ არ ვჭამო!

— კარგი, კარგი, შვილო! ოღონდ შენ რამე შეჭამე და გაუჩი-  
ნარს გაგიჩინე. ეგ კი მართლა ჩემი ბრაღია... რა თქმა უნდა, ერთი  
და იგივე საჭმელი ყოველდღე ძნელია... ახლა კი, აი, შენ აქ დაი-  
ძინე, მირიან!—უთხრა სტუმარს, როცა ვახშამი მოათავეს, და თავის  
საწოლზე მიუთითა, თვითონ კი კარვის კარებთან დაყრილი თივა  
გაასწორა, მიწვა დასაძინებლად და ორივე ახალგაზრდას ძილინე-  
ბისა უსურვა.

მირიანს დიდი ხეწნა აღარ დაჭირვებია, საწოლზე მოეწყო,  
მაგრამ მალე არ დაეძინა; მოსვენებას არ აძლევდა უცნაური საი-  
დუმლო. ვინ იყო ეს კაცი — ახე წარბშეკრული და წვერმოშვებული  
ახე განაპირებული და გაგარულებული, რომლის სახელიც არ  
იცოდა ბიჭმა? მძარცველი? მკვლელი? არა! არა! შეუძლებელი იყო  
და ათასი შთაბეჭდილებით დაღლილმა მირიანმა უცნაურ კაცს,  
ძილ-ბურხანში, გარეული კაცი უწოდა...

თ ა ვ ი მ მ ს ა მ ე

მეორე დღეს უქარო და წყნარი დილა გათენდა. ფრინველების  
ხმაზე გამოვიდოდა მირიანს. თითქოს რაც ჭალაში მაგლობელი ფრინ-  
ველები იყვნენ მის შესახვედრად გამართულ კონცერტზე მოუწვე-  
ვითაო, ისეთი ურჩამული იდგა იმ მწვანეში ჩაფლული კარვის  
ირგვლივ.

ვახტანგს ისევ ეძინა. იგი შედარებით მშვიდად სუნთქავდა ამ  
დილით. მამამისი უკვე ამდგარიყო, კარვის კარებთან იდგა და მძი-  
ნარე ბავშვს დაჰყურებდა ჩაფიქრებული.

მირიანმა რომ გაიღვიძა, თვალი მოავლო თუ არა იქაურობას  
უმალ გაახსენდა სადაც იყო. უცბად გადმოხტა საწოლიდან, გარეთ  
გამოვიდა და მასპინძელს არც კი მორიდებია, უკვე ჩვეად გადაქ-  
ცეულ დილის გამამხნეველ ვარჯიშს შეუდგა.

— აი, ეს კარგია, ბიძიკო! ბარაქალა, ბარაქალა! ასე უნდა  
ჯანმრთელობის დაცვა. მაგაზე უკეთესი არაფერია ადამიანისათვის.  
მე თავთ არც ერთ დღეს არ გამოვტოვე, რომ არ ვივარჯიშო. ამ  
დღითაც, სანამ შენ გაიღვიძებდი, მე უკვე დაგასწარი და ვივარ-  
ჯიშე. ამიტომ არის, რომ ეს ძალღუთმადურად გდება ვერაფერს  
მიშვრება და, პირიქით, ძალიან კარგადაც ვგრძნობ თავს.

შემდეგ მასპინძელმა კარვის გარშემო გოგირდი ააბოლა ქვეწარ-  
მავლების დასაფრთხობად და მერე სტუმარს მიუბრუნდა:

— ახლა კი, მირიან, გადაიცვი მაისურა და წამოამყე. დღეს  
მენიუ უნდა შეეუცვალო ვახტანგს და მგონი არც მე და შენ გვაწ-  
ყენს ხოხბის ხორცი. გულახდილად რომ ვთქვა, მაინც და მაინც,  
თევზს ველარც მე ვატან გემოს. წავიდეთ, სანამ ვახტანგი გაიღვი-  
ძებდეს, მანამ ჩვენც დავბრუნდებით.

ამ სიტყვებით ორღულაიან სანადირო თოფს წამოავლო ხელი  
და მირიანთან ერთად გასწია ტყე-ტყე. ისინი ფრთხილად იკვლევდ-  
ნენ გზას ბუჩქებში, მაგრამ დილის ნამით სულ გაიღუმბნენ.

კარგიდან ნახევარი კილომეტრიც არ ექნებოდათ გავლილი,  
რომ ჭალაში ალაგ-ალაგ გამოჩნხილ პატარა ახოვებში გავიდნენ  
სადაც სიმინდი ეთესა. ამ სიმინდის პირებში ერთი ორგან აუფრინ-  
დათ ხოხობი ახლად ფრენანასწავლი ლპარებით. მონადირემ ორჯერ-  
ვე გამართა თოფი სასროლად, მაგრამ ისევ თავი შეიკავა, თოფი  
ძირს დაუშვა და აღერსით გააყოლა თვალი ფრინველს, რითაც მი-  
რიანის გაკვირვება გამოიწვია.

— რატომ არ ესვრით, ძია?—ჰკითხა ბავშვმა.—ეგ ხომ იჭმება?

— არა, მაგის მოკვლა ახლა არ შეიძლება. ხომ ხედავ, პატარა  
ლაპრები აჰყვენენ. ეგ, რომ მოვკლა, ისინი თითქმის ყველანი დაიღუ-  
პებიან, რადგან გამოუცდელი არიან. მაგათ ჯერ არც საჭმლის  
შოვნა შეუძლიათ დამოუკიდებლად და არც მტრისაგან მორიდება.  
მტერი კი ძალიან ბევრი ჰყავთ.

— აბა, მაშ, რაღად წამოვედით?—უთხრა მირიანმა.  
მაგრამ წინადადებაც არა ჰქონდა დასრულებული რომ, მათ

წინ გამაგრებულად დაიდგარიალა მამაღმა ხოხობმა, თუღღღღღღღ  
ავარდა პირდაპირ ზევით და მისი ფერადი ბუმბული ისე აელვარ-  
და მზის სხივებზე, თითქოს ცეცხლის ბურთი ავარდა ცაშიო.

ახლა კი აღარ შეეყვამნებულა მონადირე, ინსტიქტურად  
ააყოლა აფრენილ ხოხობს თოფის ლულა და, როდესაც წენიტისა-  
კენ მიმავალმა ფრინველმა ჰორიზონტალურად გაფრენა სცადა,  
თოფმაც დაიჭეკა. ის ცეცხლის ბურთი ჯერ ჰაერში შეჩერდა და  
შემდეგ მაყვლის პატარა ჩირგვს დაენარცხა.

გახარებული მირიანი ნანადირევს მივარდა. ყმაწვილმა ხელში  
აიღო იგი და ჯერ კიდევ იმის თვალთვლებაში იყო — ლამაზი შეფე-  
რილობის ბუმბულისათვის თვალი ვერ მოეშორებია, რომ თოფმა  
მეორეთაც დაიჭეკა.

— ახლა კი გვეყოფა, — წარმოთქვა „გარეულმა კაცმა“ და ნა-  
ნადირევს ასაღებად წავიდა.

მირიანმა რომ მასთან მიიბრინა, ისეთივე ხოხობი ეჭირა ვახ-  
ტანგის მამას, როგორც მას ჰქონდა.

— განა ესენი კი ცოლდინ არ არიან? ამათ რატომღა ხოცავთ? —  
შეეკითხა მირიანი.

— ესენი მამლებია, ჩემო მირიან! ბარტყებს უმამოდაც დაზრ-  
დიან დედლები. რა თქმა უნდა, სასიკვდილოდ ესენიც ცოლდინ  
არიან, მაგრამ აბა რა ვქნა? ჩვენც რომ ჭამა გვინდა?! რა ვაჭამოთ  
შენს მეგობარ ვახტანგს? წუხელ თევზი რომ დაგვიწუნა!

კარავში რომ მივიდნენ, ავადმყოფი გაღვიძებული დახვდათ,  
მამას უთხრა: როგვე სროლის ხმა გავიგონეთ, და ხოხბებს დიდხანს  
ათვალთვრებდა ცნობისმოყვარეობით.

კარვისათვის რომ ყურადღება არავის მიექცია, ფიჩხის ცეცხლ-  
ზე არ გააკეთა ხოხბები. სიფრთხილისათვის პატარა ნავთქურა გაა-  
ჩადა, რომელსაც განსაკუთრებულ შემთხვევაში ანთებდა ხოლმე.  
ორიოდე საათის შემდეგ სამიფენი უგემრიელეს ჩაოხობილს შეექც-  
ნენ. ვახტანგმა მართლაც მაღიანად ჭამა და, თითქოს თვალბეში სი-  
ნათლუ მიეცაო, ისეთნაირად გამოიყურებოდა. იმ დღეს, მისი მამის  
თქმით, წინააღმდეგობა შედარებით უფრო იოლ ფორმებში გადავიდა.  
სალამო უამს ძალიან კარგ სასიათზე იყო ბიჭი. წამოღგა კიდევ სა-  
წოლიდან, კარგიდანაც გამოვიდა და აღარც თავის ტუციებს  
გრძნობდა. რა თქმა უნდა, ქინაქინის გადაყლაპვაც არ დაეწყებია.

ავადმყოფი გამოკეთების გზას ადგა. ამას მისი მამაც გრძნობ-  
და. ორ დღეში მირიანის თბილისში გასტუმრებას და კარვის აყრას  
აპირებდა. მაგრამ მეორე დღეს, სადილს რომ შეექციოდნენ, მათი  
კარვის გადასწვრივ, მტკვარზე მოტორის თუხთუხმა იქაურობა გა-  
აყრუა.

შეკრთა მასპინძელი. ჯერ ეგონა, ჩემი დამალული ნავი წვილა-  
ცამ იპოვა და მოიტაცაო. თუმცა ხმაზე ცნობდა, რომ ის არ უნდა  
ყოფილიყო, მაინც დაეჭვდა: შორიდან ალბათ ასე მესმისო. ბევრი  
აღარ უფიქრია: მირიანს უბრძანა კარვიდან არ გამოსულიყო და  
ავადმყოფისათვის ეყარაულნა. თვითონ კი სანადირო თოფს წამოავ-  
ლო ხელი და ბილიკზე შლაგა-შლუგით გაგარდა. გულისხეთქებით  
მიიჭრა ჭალაში თავის დამალულ ნავთან და მაშინდა დამშვიდდა,  
როცა იგი ხელუხლებლად იდგა ბუჩქებს შეხამებული.

მაგრამ წყალზე რომ გაიხედა ქურდულად, შემდეგი სურათი  
წარმოუღდა თვალწინ: ოთხი კაცი მტკვრის კალაპოტში გარდიგარდ-  
მო დაატარებდა მოტორიან ნავს და ჩანგლებით გულდასმით ეძებდა  
რადაცას. ძნელი არ იყო იმის გამოცნობა, თუ რაში იყო საქმე.  
ისინი მირიანის ჭირისუფლები იყვნენ. ცხადი იყო ბავშვს დახმარ-  
ვალად თვლიდნენ და ახლა მის გვამს ეძებდნენ.

ახლადა იგრძნო, თუ რამდენად ბოროტება ჩაიდინა მირიანის  
მშობლების წინაშე. ეტყობოდა, სამკუთხედად გაკეცილ წერილს,  
რომელიც მან ერთ შოფერს გაატანა ფოტოში ჩასაგდებად, ჯერ  
ვერ მიეღწია მირიანის მშობლებამდე, რომლითაც აცნობებდა, არ  
იღარდოთ, შვილი მალე დაგიბრუნდებათო. ახლა კი გვიანდა იყო.  
მისი იქ გამოჩენა არავითარ შემთხვევაში აღარ შეიძლებოდა. რა-  
ნაირი ბოდიშიც არ უნდა მოეხადა მათ წინაშე, გამწარებული ხალ-  
ხი მას ალბათ ცოცხალს არ გაუშვებდა. ეს ძალიან კარგად ეხმობდა



და ამიტომ ისევ სასწრაფოდ უკანვე გაიძურწა, ვინმემ არ შემაშინოს და ყველაფერი არ გამოაშუქარავდესო. ბილიკზე რომ მიდიოდა, გულში ახლა იმის შიში გაუჩნდა: ვაი თუ მირიანი გაიპარა, თავისიანებთან მივიდეს, ყველაფერი უამბოს და ჩემი სადგომიც მოასწავლოსო. ასე რომ ყოფილიყო მართლა, მაშინ ძალიან მძიმე მდგომარეობაში ჩავარდებოდა... სად უნდა გაქცეულიყო ავადმყოფი ბავშვით! ეს წარმოიდგინა და ნაბიჯს მოუმატა. თუ მართლაც მირიანი იქ არ დახვდებოდა, ყველაფერი უნდა მიეტოვებინა; კარავიც, საწოლიც, ნივთებიც, საჭმელიც, და ავადმყოფი ბავშვით სადმე მიმალულიყო.

მაგრამ მირიანს ფიქრადაც არ მოსვლია თავისი მასპინძლის დავალების შეუსრულებლობა და ავადმყოფის მითოვება, სანამ მისი მამა არ დაბრუნდებოდა.

\*

შეშინებული მამა კარავში რომ შევიდა, მირიანი და ვახტანგი საუბარში იყვნენ გართული. საუბარი ეხებოდა, რა თქმა უნდა, სკოლასა და ამხანაგებს. ვახტანგმა არ უთხრა რომელ სკოლაში სწავლობდა. ისე კი, საუბრიდან მირიანმა გაიგო, როგორ მონატრებოდა თავისი ამხანაგების ნახვა ვახტანგს. მაგრამ, როგორც მამამისი ეუბნებოდა, ჯერჯერობით ეს თურმე შეუძლებელი იყო.

ამ ლაპარაკის დროს, სანამ უფროსი მასპინძელი მოვიდოდა, მირიანმა გულუბრყვილოდ ჰკითხა ვახტანგს მამის სახელი, რადგან ისე ვერ გაიგო საუბარში: შვილი—მამას ეძახდა, თვითონ მირიანი—ძიას, სხვა კი არავინ იყო მათთან, რომ მას მაინც მიემართნა ვახტანგის მამისათვის სახელით და მირიანსაც გაეგო რა ერქვა „გარეულ კაცს“.

— რად გინდა მამაჩემის სახელი, მირიანი?—მიუგო აშკარად შეშფოთებულმა ვახტანგმა.—მამამ გამაფრთხილა არც გვარი გითხრა და არც სახელი. დაბეჭდება ხომ არ გინდა ჩვენი?

მირიანი გაშრა.

— არა გრცხვენია, ვახტანგ? მართლაც ის ვიცი თქვენს შესახებ, რომ ქართველები ხართ. რომ მკითხონ, ვისთან იყავი ამდენ ხანსო, რა ვუთხრა? არც სახელი ვიცი [კაცის, არც გვარი. ვინ დაგიფრთხილებს?]

— არ დაგიფრთხილებენ და არცაა საჭირო! ჩვენც ეგ გვინდა!

— კი, მაგრამ, თუ ასეა, შენი სახელი რომ ვიცი, სულ ერთი არ არის, მაშინ ეგ რაღად მითხარი?

ზიჰს გაეცინა, რომ იმასაც სათვალავში აგდებდნენ და, ცოტა არ იყოს, ამით კმაყოფილმა უბახუხა:

— ჩემი სახელის ცოდნა რას გამოვადგება? რამდენი ჩემნაირი ვახტანგი არის ქვეყანაზე!

— განა მამაშენი ვინაა არის, ასე საიდუმლოდ რომ ინახავთ მის სახელს. თუ ასეთი სახელოვანი კაცია, რომ ყველა იცნობს, ალბათ მაგის დაკარგვაც ყველას ეცოდინება და ძებნას დაუწყებენ.

— იციან, მაშ... და კიდევ ეძებენ!—რიხით უთხრა ბავშვმა, მერე, უცებ, მუდარით მიმართა მირიანს:

— თუ ძმა ხარ, მირიან თავი დამანებე! მე არაფერიც არ ვიცი ვინ იცნობს მამაჩემს და ვინ არა. ნურაფერს მკითხავ, სულერთია არაფერს გეტყვი...

ეს ისეთიარად უთხრა, თან ისეთი შეწუხებული სახე ჰქონდა, რომ მირიანს შეეცოდა და დაყვავებით უთხრა:

— არა, ვახტანგ! მე ისე გკითხე, თორემ რად მინდა ვიცოდე... მაპატიე...

ამ დროს მამაც შეშოვიდა და, მირიანი რომ კარავში დახვდა, ცოტა გული დაუშვიდა, მაგრამ სრულიად დამშვიდებამდე იგი ძალიან შორს იყო—მტკვრიდან წავის მოტორის თუხთუხი მოსვენებას მაინც არ აძლევდა მას. ერთიც ვნახოთ და ვინმეს აწრად მოუვიდა ამ ჭალების დათვლიერება! მაგრამ უშაშ და მშვიდდა—რადღაც დამხრჩვალს მშრალზე არ დაუწყებდნენ ძებნას.



მოშობილი მირიანი მაღიანად შეექცა გემრიელ საჭმელს.

გულუბრყვილოდ მჯდარ მირიანს რომ შეხედა ახალმოსულმა, შერცხვა. ბავშვი ზუსტად ასრულებდა მის დავალებას. კარვის მფლობელი კმაყოფილი იყო ამით და თავის მოქმედებასაც ამართლებდა

გულში. მაგრამ დაკარგული ბავშვის მტკვარზე გაჩაღებულმა ძებნამ ძირფესვიანად შეარყია მისი რწმენა. ერთი წუთით წარმოიდგინა თავი იმ გამწარებული ხალხის მდგომარეობაში და შეკითხვა მისცა თავის თავს: როგორ მოექცეოდა თვითონ იგი იმ კაცს, ვინც ამდენ მწუხარებას განაცდევინებდა, ისიც წარმოიდგინა, რომ მინის მამა არა მარტო მორალურად იყო ცაშდე მართალი, არამედ თურმე ისეთი თანამდებობის პირიცაა,—თვითონ რომ კიდევ ღმობიერება გამოიჩინოს დამნაშავეს მიმართ, მისი მოვალეობა აიძულებს, სასტიკად დასაჯოს ასეთი ძალადობის ჩამდენი.

ერთი სიტყვით, სანამ მირიანის ძებნა არ შეწყვეტეს და იმ მიდამოში მოტორის ხმა არ მიწყნარდა, მანამ „გარეული კაცი“ ეკლებზე იჯდა. დამეში ათჯერ მაინც წამოადგა და მძინარე მირიანი შეამოწმა—ხომ არ გამეპარაო. რომ დარწმუნდებოდა, ისევ იქ იყო, დამშვიდდებოდა, მერე მძინარე ბავშვებს სახნებს ამოუტყევდა და მხრებში მზრუნველობით,—არ გამიცდენენო, და ისევ თივაზე მიწვებოდა. მეორე დღეს ხომ დატყვევებულ უშაწვილს გვერდიდან არ იშორებდა.

ბოლოს მირიანის ჰირისუფლებმა და მათმა მხლებლებმა ძებნას თავი მიანებეს და თბილისისაკენ გასწიეს მაშინ კი ცოტა შვებით ამოისუნთქა მასპინძელმა. ახლა აღარ ეშინოდა მირიანის ვახტანგთან კარავში დატოვებისა და ბურის მოსატანად მახლობელ სადგურზე წასვლის. მარაგი საგრძნობლად იყო შემცირებული, მირიანის მიტოვება კი არ შეეძლო, ვიდრე მაძებრები იქვე მახლობლად იმყოფებოდნენ.

მაძებრების წასვლიდან ორი დღის შემდეგ, „გარეულმა კაცმა“ ბავშვები კარავში დატოვა და თვითონ მტკვრის პირზე გადავიდა. უნდოდა ამდენი მალვისა და სიფრთხილის შემდეგ თავისუფლად გაეღო, ის ადგილები დაეთვალიერებინა და იქნებ რაიმე საჭმელიც ეშოვნა. მაგრამ, ჭალიდან რომ გაჰყო თავი, უცნაური სურათი წარმოუდგა თვალწინ.

იქ, სადაც წინა დღეებში მეთევზეებს ბარგი ეწყობოდა და მტკვარში მირიანის გვამს ეძებდნენ, ერთი მოხუცი ქალი და ორი კაცი მოსულიყო, თან თხა მოყვანათ და რალაც ფუსფუსში იყვნენ. ცხადი იყო, ხალხური ჩვევის თანახმად წყალში დამხრჩვალისათვის თხის შეწირვას აპირებდნენ.

ჰირისუფლებმა თხა დაკლეს, ჩაადგეს წყალში იქ, სადაც ეგონათ მირიანი დაიხრჩო, და ტირილით გაბრუნდნენ.

„გარეულ კაცს“ იმ სურათის დანახვით ერთმანეთს შეხვედნენ მოუვიდა თავში. როგორც კი ჰირისუფლები თვალს მიეფარნენ, ნავით გადაცურა მდინარე, ამოიღო ახალდაკლული თხა და წამოიღო.

ეს კი მართლაც უეჭველად მიუფა მათ მირიანს! ისეთი მწვადები ვაჭამო, რომ სულ თითები იკვნიტოსო, ჩაილაპარაკა მენავემ; ათიოდ წუთში თხას ტყავი გახადა, გაასუფთავა ხორცი და სისარულით წაიღო კარავში. ხუმრობა საქმე ხომ არ იყო, სწორედ ბიჭების გემრიელი საჭმელით დაპურებაზე ფიქრობდა—რა მოვუმზადო; რა უფრო ესიამოვნებათ ამ დილითო.

რა თქმა უნდა, მირიანისათვის არ უთქვამს, რომ თხა მისი „საიქიოს“ გასატანებელი საგზალი იყო, მაგრამ მწვადები მართლა გემრიელი შეწვა. მთელ ჭალას მწვადის სურნელი მოეფინა და კარვის ბინადარნიც ძალზე გემრიელად შეექცნენ. ერთი სიტყვით სანამ „სადვო“ ეყოფოდათ, მათ პირობებში რის გაკეთებაც კი შეიძლებოდა, ყოფილნაირი საჭმელი მოუმზადა მასპინძელმა ბიჭებს და თხის ხორცი მინდორში, სუფთა ჰაერზე, უგემრიელეს საჭმელად ეჩვენებოდა სამივეს. ისიც უნდა ითქვას, რომ იმ ხნის განმავლობაში აღარც ვახტანგი გაუციებია და ის ნაავადმყოფარი ბიჭი მაღაში თითქმის მირიანს აღარ ჩამოუფარდებოდა, რითაც ძალზე გახარებული იყო.



ერთხელ კიდევ მოათვალიერებს თავიანთი ნასახლარი...

ბული იყო მისი მამა. ამ სასწაულებრივ გარდატეხას კი იგი მირიანის იქ ყოფნას მიაწერდა და ენაწილად მისი გაშვება თბილისში. მაგრამ მეტ ხანს ბიჭის გაჩერება უკვე აღარ შეიძლებოდა. იცოდა, დღეს თუ ხვალ მისი გასტუმრება აუცილებელი იყო, და ამისათვის იგი თავისებურ სამზადისსაც კი შეუდგა.

\*

ერთ საღამოს ვახტანგის მამამ ლოქოს ჩანგლები დაავო და დილით სამი ცალი კარგა მოზრდილი ლოქო დაიჭირა. ერთერთ მათგანს, რომელიც უფრო დიდი იყო, ლაყუჩებში ტირიფის წნელით ხელის მოსაკიდი ჩაუგრიხა და ხეზე ჩამოაჭიდა.

— ეს შენ უნდა წაიღო თბილისში, მირიან, და შენს მშობლებთან ბოდიში მომხადო. უთხარი, მაპატიონ და ძებნას ნუ დამიწყებენ. სულ ერთია, მაინც ვერ მიპოვნიან და რატომ უნდა შეიწუხოთ თავი ტყუილად. აი, იცოდე, ახლავე ამ კარავსაც ვშლი და შენთან ერთად მივდივარ. თბილისში გაგისტუმრებ და ჩემს გზას გავყვები.

ამ სიტყვებით დაიწყო ვახტანგის მამამ კარვის დაშლა და თავისი ნივთების ჩალაგება პატარა ყუთებსა და ტომრებში, რაც მალე ნავთან გადაწიდეს და ძველთაგანვე მიჩენილ ადგილებზე ჩატვირთეს.

უკანასკნელი ნივთები რომ გადააჭონდათ ნავზე, ერთხელ კიდევ მოათვალიერეს თავიანთი ნასახლარი—ხომ არაფერი გვრჩებოდა, და მიუხედავად იმისა, რომ ვახტანგს თავის ავადმყოფობას აგონებდა ის ადგილი, მირიანს თავის „დაპატიმრებას“ და უფროსს ორივეზე მეტი გულისტკივილი აკავშირებდა ამ ადგილთან, მაინც სახვევს დაენანა იმ მიყრუებულ ჭალაში თავიანთი ნაბანაკარის მითვება.

აუშვეს ნავი იმ დილით და მოტორი არც კი ჩაურთავთ, ისე გაშვენენ მტკვრის დინებას ქვევით.

— ეშმაკმა წაიღო, კარგი ადგილი კი იყო სათევზაოდ!—ჩიოდა პატარა „გარეულმა“ კაცმა.

კარგა მანძილით რომ დასცილდნენ თავიანთ ნაცნობ ჭალას, ნავი ერთ ადგილას მიაბა ვახტანგის მამამ ტირიფზე, თვითონ ნაპირზე გადავიდა და მირიანსაც უთხრა გადასულიყო.

— აი, აქ კი გაიყრება ჩვენი გზა, ჩემო სტუმარო, თუ პატიმარო, აღარ ვიცი როგორ გიწოდო! ახლა კი ვახტანგის თანდასწრებით ყველაფერს გეტყვი, რაც თქვენებს მწუხარება მივაყენე,—და მართლაც, უამბო, თუ როგორ დაეძებდნენ მას მოტორიანი ნავით სამი დღის განმავლობაში. შემდეგ არც ეს დაუშლავს, თუ როგორ დაუტყდეს თხა „საიქიოში“ საგულად გასატანებლად. მაგრამ ბოდიში მოიხადა იმისათვის, რომ იქვე შეაჭამა მას და ვახტანგს მისი მწვალები.

მირიანი შეწუხდა ამ ამბებით.

წახვლის წინ ვახტანგი და მირიანი რომ დაემშვიდობნენ ერთმანეთს, ვერავინ იტყოდა, რომ ისინი ერთად შეზრდილები არ იყვნენ და სულ ერთი კვირის ისტორია ჰქონდა მათ ნაცნობობას.

ხელი რომ ჩამოართვა მირიანს, ვახტანგმა თავი გვერდზე მიიღო, მეგობარმა ცრემლი არ დამინახოს თვალზეო, და გულდაწყვეტილი ღარჩა ნავთან, ისევ უამხანაგოდ და ძველებურად უტოლმეგობროდ.

\*

ორი ლოქო ვახტანგის მამამ თვითონ აიკიდა ტომრით, ერთი მირიანს მისცა, წნელით ამობმული სახელურით, და გზას გაუდგნენ.

მტკვრის იმ ნაპირიდან, სადაც ვახტანგი დატოვეს მიბმული ნავით, რკინიგზის სადგურამდე სულ სამიოდე კილომეტრი თუ იქნებოდა და დიდხანს არ უვლიათ. ის იყო სადგურზე მივიდნენ, რომ ბაქოდან თბილისისაკენ მიმავალი სამგზავრო მატარებელიც შემოღრიდა სადგურში. ბილეთი აუღო, ვაგონში ლოქო აუტანა და დარიგების მიცემაც კი მოახწრო გამცილებელმა, როგორ მოქცეულიყო მისი ყოფილი პატიმარი, თბილისში რომ ჩავიდოდა; აუხსნა, რომ უკეთესი იყო წინდაწინ შეემზადებია ოჯახის წევრები და უცხად არ გამოცხადებოდა მათ, თორემ, როგორც შედმეტი მწუხარება არ ვარგა, ისე შედმეტი სიხარულიც ძნელი ახატანიაო წოგვერ.

(ბაბრძილიშვილი შემდგომ ნომერში)



## გ ა ზ ა ფ ხ უ ლ ი

### ჯანსუღ ჩიკვიანი

გაზაფხულზე ღელვა არის ყანის, მთებს და ველებს მწვანე ფერი მოსაგს, გაზაფხულზე ბევრი ია ჰყვავის,— გაუმარჯოს გაზაფხულის მოსვლას.

გაზაფხული გზად ყვავილებს ფანტავს, ღელეები დაიწყებენ ღიღინს. გაზაფხულზე ტყემაღსა და ატამს ყმაწვილივით აეყრებათ ღინღლი.

გაზაფხულზე ცის და მიწის ხიდად მზე არის და მზეს დიდება ვუთხრათ. გაზაფხულზე ყველაფერი მინდა, ყველაფერი, მივიტანო გულთან.

გაზაფხულო, მწვანე კაბა გშვენის, კეთილ იყოს მოზრძანება შენი!


## მერცხალი

### ქარლო კობახიძე

კვლავ შრიალი ისმის ხეთა, კვლავ ადიდდა ნაკადული და მერცხალიც დაგვიბრუნდა,— ცხრა მთას იქით დაკარგული.

ჯეჯილები ინახულა და ჭალებიც გადიარა; განა მართლა იწყებლება— ილოცება მადლიანად.

არც ხალისი მოკლებია, არც დაღლილა შორი გზითა; ველ-მინდორი აგვიყვავა, შვიდი ფერი მოგვიზიდა.



# მ ა ნ ა ნ ა

მ ო თ ხ რ ო ბ ა

ხშირად ხალათი ამოჩაჩული მაცვია, ყელსახვევიც მოღრეცილი მაქვს. ვინ მოთელის რამდენჯერ მომცეს შენიშვნა მასწავლებლებმა და ჩვენი კლასის გოგონებმა, მაგრამ მეორე რგოლის ხელმძღვანელმა—მანანამ, რომელიც წინა მერხზე ჩემს პირდაპირ ზის, ყველას გადააქარბა. სკოლაში თუ სკოლის გარეთ თავი მომაბეზრა თავისი მეტიჩრული რჩევა-დარიგებით.

„რას გავხარ თამაზ, ჩაიტანე შარვალში ხალათი, გაისწორე ყელსახვევი. სირცხვილია! მოსწავლის ასე სიარული როგორ შეიძლება!“—ერთი ოცჯერ მაინც აქვს ნათქვამი. კაცმა რომ თქვას, ვინ ჰკითხავს მანანას? ჩემს ხალათს როგორც მინდა ისე ჩავიცვამ. ერთი და ერთი, ხმა რომ არ გავეცი—თავს წავიდა. თითქოს ბევრი რამ იცის, ისე დამიწყებს ხოლმე დარიგებას. მართალია თვითონ კობტად დადის, ყოველთვის სუფთა კაბა აცვია, წინსაფარი ისე აქვს გაუთოებული, რომ ერთი ნაკეცი არ ატყვია, და ბანტიც პეპელასავით ასკუპია მის ლამაზად დაწულ ნაწნავს. ეს ყველაფერი მოსაწონია და მეც მომწონს, მაგრამ ჩემი აზრით ასეთი კოპწიაობა მხოლოდ გოგონებს შეუფერით. მანანას კი აუჩემებია: ყველა მოსწავლეს, ბიჭია თუ გოგო, სუფთად და კობტად უნდა ეცვას თავისი ფორმის ტანსაცმელი. აბა როგორ! სახლიდან დედა გაწკრიბებულს გამომგზავნის ხოლმე, მაგრამ სანამ გაკვეთილები დაიწყება ბიჭები სკოლის ეზოში ვიკრიბებით, ვიშვებთ ქამრებს და ვლახტაობთ. დაირეკება თუ არა ზარი, გრიალით მივრბივართ კლასისაკენ. ვეღარ ვასწრებ ხალათის გასწორებას და ამოჩაჩული მრჩება. თუმცა ერთხელ სახლიდანაც მომიხდა სკოლაში უწესოდ მისვლა. მეზობლის ბიჭებთან ისე გავერთე თამაშში რომ, ჩემს პატარა

დას რომ არ გაეხსენებია, სკოლაში დამიგვიანდებოდა საჩქაროდ მივირბინე სახლში, ჩანთა გავამზადე და საუზმის ჭამას შევუდექე. სიჩქარისაგან კოვზი დამივარდა წვენი ხალათზე ჩამომესხა და ჩამომეთხუპნა. დედაჩემს არც კი გაეგებინე, ისე გავიქეცი სკოლაში. ჩვენი კლასის მოსწავლეებმა რომ დამინახეს, სიცილი დამაყარეს.

— ბიჭო, ნელა ვერა ჭამე, უკან ვინ მოგდევდა?!

— წინსაფარი უნდა აგეთარებინა, შეილოსან, აგრე არ ვარგა!

ამათ სხვები აჰყვენ და ისეთი ხარხარი ატეხეს, რომ ყურები გამომიჭედეს. როცა შეწყვიტეს ღრიანცე-ლი, ახლა მანანა მოვიდა ჩემთან. ჯერ ჩამოთხუპნულ ხალათზე მომაჩერდა, მერე ამხედ-დამხედა და წყენით მითხრა:

— არა გრცხვენია თამაზ, რას გავს შენი ხალათი.

ეს კი ვეღარ მოვუთმინე და ლაზათიანად შევუყვირე:

შენ ვინ გკითხავს, მეტიჩარავ-მეთქი!

რამდენმა დამცინა, მაგრამ ყურადღება არავისთვის მიმიქცევია, მანანას სიტყვამ კი ამაღელვა. ალბათ იმიტომ, რომ გულში ძველი ჯავრიც მქონდა ჩარჩენილი. უცბად უცნაური სურვილი დამებადა — მომიხდა ერთხელ მაინც მენახა მანანას ტანსაცმელი ჭუჭყიანი, რომ თამამად მეთქვა: ვის არიგებდი, როცა თვითონ ყოფილხარ ბინძური-მეთქი.

მაგრამ ვერა და ვერ ვნახე მის ტანსაცმელზე უბრალო ლაქაც კი.

ერთხელ, ალგებრის გაკვეთილზე მასწავლებელი ახალ მასალას ხსნიდა. დაძაბული ყურადღებით შევცქეროდი. სწორედ ამ დროს მანანა შეირბა და, არ ვიცო

განგებ გააკეთა, თუ შემთხვევით მოხდა, მისი ხუჭუჭი ნაწნავი ჩემს მერხზე დავარდა, როგორც ყოველთვის, ახლაც ლამაზად დაუთოებელი თეთრი, ქათქათა ბანტი ეკეთა ზედ. დავინახე და წამსვე რაღაც ეშმაკურმა ფიქრმა გამიელვა. მაშინვე ჯიბისაკენ წავიღე ხელი. ამოვიღე ჩემი ავტო-კალამი, რომელიც შარშან დეიღამ მაჩუქა დაბადების დღეზე. მას შემდეგ ვინ იცის, რამდენჯერ დავშალე და ავაწყე, ამასობაში მოიშალა— თავისუფლად წვეთავდა მელანი. ჯერ აქეთ-იქით გავიხედე, ხომ არავინ მიყურებს. მეთქი, მაგრამ ჩემთვის ვის ეცალა? ყველა მასწავლებელს მისჩერებოდა. რაღაც რთულსა და საინტერესო ამოცანას ხსნიდა იგი. მე კი სულაც არ ვუსმენდი. ჯერჯერობით სხვა საქმე მქონდა. მოვიმარჯვე კალამი და ბანტს რამდენიმე წვეთი მელანი დავაპკურე. ბანტი გაიჟლინთა და ისე დაუშნოვდა, რომ მე თვითონ დამენანა.

- დასვენებაზე გოგოებმა ერთი ამბავი ატეხეს.
- სად დაისვარე?
- როგორ მოვიხდა?
- აფსუს, ლაქები დააჩნდება!

ზოგი რას ეუბნებოდა მანანას, ზოგი რას. მეც ბევრი რამ მქონდა სათქმელი. მინდოდა ნიშნი მომეგო მისთვის, მაგრამ დავიბენ, ველარ გავბედე. მანანამ უხმოდ მოაცილა ნაწნავს ბანტი და ჩანთაში შეინახა. შემდეგ ნაწნავის ბოლო საჩვენებელ თითზე გადაიხვია, გაასწორა, გაალამაზა და მოხდენილად გადაიდგო მხარზე.

რამდენიმე დღის შემდეგ აღგებრის მასწავლებელმა დაფასთან გამიყვანა და ამოცანა მომცა ამოსახსნელად. მაშინვე მივხვდი, რომ ასეთი ტიპის ამოცანა მასწავლებელმა სწორედ მაშინ აგვიხსნა, როცა მანანას ბანტს მელნის წვეთებს ვაპკურებდი. მაშინ ვერა გავიგე რა. მეც არ ვიკადრე სხვისთვის გამეხილა ჩემი უცოდინა-



ერთხელ კიდევ ჩავუკვირდი მანანას მოქმედებას და მომეწონა მისი ხასიათი.



აღგებრის მასწავლებელმა დაფასთან გამიყვანა და ამოცანა მომცა ამოსახსნელად.



რობა. აბა როგორ უნდა ამომეხსნა? ვერ ამოვხსენი და ორიანი მივიღე.

— თამაზ, დღეს რომ ორიანი მიიღე შენი ბრალია. ბანტის დათხუნას ის გერჩია მასწავლებლისათვის დაგეგლო ყური.—დასვენებაზე ჩუმად მითხრა მანანამ.

მე ვღუმდი. ლაპარაკის თავი არა მქონდა. ძლიერ დამაღონა ორიანმა.

— არა უშავს რა,—ისევ მანანა დამელაპარაკა,— ჩემთან მოდი და დაგეხმარები. გასწავლი, როგორ უნდა ამოიხსნას ასეთი ტიპის ამოცანები...

გამიკვირდა. მანანას სცოდნია, რომ ბანტი მე დავუთხუნე, მას შეეძლო მაშინვე წამჩხუბებოდა, მასწავლებელთან დავებულებინე, წამოეყვედრებინა ჩემთვის, მაგრამ საყვედურებისა და აღელვების ნაცვლად დახმარება შემომთავაზა. რა კეთილი ყოფილა! ერთხელ კიდევ ჩავუკვირდი მანანას მოქმედებას და მომეწონა მისი ხასიათი. მისადმი სიძულვილიც სამუდამოდ წაიშალა ჩემში.



ჩოები, რომლებიც რუსთავის მეტალურგიული ქარხნის კულტურის სახლის შეკვეთით მზადდება. გარდა ამისა, ამ ჯგუფს განზრახული აქვს თბილისის ფუნქულიორის მოქმედი მოდელის გაკეთება. ამ მოდელში გამოცემული იქნება აგრეთვე მთაწმინდის მიდამოები.

\* \* \*

სასწავლებლის დამთავრების შემდეგაც არ იფიქვებენ აღმზრდელებს სხვადასხვა მხარეს გაფანტული შეგირდები, რომელთაც ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული საქმე აბარიათ.

სასწავლებლის ყოფილი მოსწავლეები: ცნობილად, თევზაძე, რუხაძე, რომელთაც სასწავლებელი წარჩინებით დაამთავრეს, ქუთაისში მუშაობენ მძერწავ-მემოდელეთა სპეციალობით, ქოჩაშვილი ამჟამად მარჯანიშვილის თეატრს ეხმარება, გ. გოგიჩაიშვილი ქიათურაში ყველა დიდ მშენებლობას ხელმძღვანელობს, ვ. გეგეშიძე პოლიტექნიკური ინსტიტუტის IV კურსზეა, ჯ. ხეთაგური რკინიგზის ინსტიტუტის სააღმშენებლო ფაკულტეტის სტუდენტია, და კიდევ ვინ მოსთვლის ყველას, რომელთა სახელებიც სასწავლებლის მატრიანეში სამუდამოდ ჩაწერილა.

სასწავლებლიდან გასული ახალგაზრდა ოსტატები თავიანთი კეთილსინდისიერი და ბეჯითი მუშაობით მადლობას იმსახურებენ. აღსანიშნავია ისიც, რომ სკოლადამთავრებული, წარჩინებული, მაღალკვალიფიციური ახალგაზრდა ოსტატები საკმაოდაა დატოვებული სკოლაში პედაგოგებად.

\* \* \*

სამხატვრო-სახელოსნო სასწავლებლის მოსწავლეები სასწავლებლის გარეთაც რთულ და საპასუხისმგებლო სამუშაოს ეწევიან, ეხმარებიან მშენებლებს შენობათა მორთვა-გალამაზებაში, მოპირკეთებაში.

მეტად დიდი მოწაფეების მიერ საქართველოს სხვადასხვა რაიონებსა და კუთხეებში შეკვეთით შესრულებულ სამუშაოთა რიცხვი. მათი უშუალო მონაწილეობით გაფორმებულია ქართველ საბჭოთა მოწინავე ხუროთმოძღვართა თვალსაჩინო შენობები.


არც თეატრია დარჩენილი სასწავლებლის თვალახედვის გარეშე. აქ ატარებენ დეკორატორ-შემსრულებელთა ჯგუფის მოსწავლეები, გამოცდილი დეკორატორი მხატვრის ირაკლი მდივანის ხელმძღვანელობით, ტექნიკურ სწავლებასთან ერთად შემოქმედებით მუშაობასაც.

\* \* \*


სამხატვრო-სახელოსნო სასწავლებლის ცხოვრება იწყება დილის გამამხნეველი ვარჯიშით. იგი ხალხის სრულდება მთელი სასწავლებლის მოსწავლეთა მიერ. მომავალ მშენებლებს შორის ფიზკულტურა დიდი სიყვარულით სარგებლობს. სასწავლებელში ჩამოყალიბებულია კალათბურთის, ფრენბურთის, კრივის, მოჭიდავეთა, მოცურავეთა, ჭადრაკისა და ტურისტული სექციები. ფიზკულტურის დარგში, შრომითი რეზერვების ხაზით, სასწავლებელს საკავშირო მასშტაბით თვალსაჩინო ადგილი უჭირავს. სასწავლებელში ყველაზე დიდი პოპულარობით ტურისტული სექცია სარგებლობს, რომელიც გამუდმებით აწყობს მეტად საინტერესო ლაშქრობებს 100-200 კაცის შემადგენლობით. სპეციალობებთან დაკავშირებით სასწავლებელი ხშირად აწყობს ექსკურსიებს ძველი ქართული ხუროთმოძღვრების შესანიშნავი ძეგლების—ჯვარის, სვეტიცხოველის, ზედაზენის, ბეთანიისა და სხვა ძეგლთა მხატვრული გაფორმების გასაცნობად და შესასწავლად. ამის შედეგია, რომ ქვაზე თუ ხეზე ჭრის ძველი ქართული, ბრწყინვალე ნიმუშები ახალი სახით ცოცხლდებიან ჩვენს თვალწინ და ხორცშესხმული გვევლინებიან ჩვენი დიადი მშენებლობის დარბაზებისა თუ ფასადების კედლებზე.



სურათი მზად: (ზევით) მძერწავ-მემოდელეები ვ. ბოტკოველის ხელმძღვანელობით ჩუქურთმებს ამზადებენ; (ქვემოთ, მარცხნივ) „მწყემსი“—ქანდაკბა მოსწავლე ჯ. ზიბილაშვილისა.



# ძირსვადები ისტორიკები



გულნარ ჯანარიძე  
6 4 4 8 0 0 0  
ფოტო მ. თერკიანი

ზარის ხმა და დივენების დამთავრება ამცნო მოსწავლეებს. დღემდინდამ ბავშვების კრია-მელი თინდათან კლასებში გადავიდა და მოწყდა. შეკადრებულა დაიწყო, მაგრამ სასწავლებელში არ დამყარდა საბერძნეთი. ენობანი მკაფილი მოისმა ხისპირადა მანახის ბრანა და ზუზუნი, რასკი რიბნულად აკვა ქვაზე მხატვრულად კრის იარაღს წყარა-წყურა. პატარა, მაგრამ შრომის შეტრფეული ხელები გულმოდებინდ ასრულებენ ლაიტრებულ საქმეს—ჭეის უსწრომასწორობა დიდები გაკოპიტების შემდეგ საპირო ფორმის იღებენ და ლამაზი ლეჭურთიმები ირთებიან.

აი ერთმა მათგანმა წუთით შეისვენა და მაღალ ასწია ოქნებით საყვი თვადები. გაეყვით მის ფიქრებს.

ჯანო ბიბლაშვილი მეტყვრისხევეთი გაიბარა და მოსულ ჰაასითა. პატარაობიდანვე უყვარდა ხატე და მერწყა. პედაგოგებისა და მეზობლების რჩებით მან თბილისის მე-11 საბატარო სახელონო სასწავლებელში მიიწვირა. ეს სასწავლებელი, მშენებლობათა მოთხოვნების შესაბამისად, კვლითეფუტო ოსტატების ამზადებს. მან მრავალი მეაფერხებინდებინა, მგაეფი, მმერწყამედიდღერესტავრატორი, დეკორაციული სამუშაოთა შემსრულებელი და ქვაზე მხატვრული კრის ოსტატი შესძინა ზენეს ქვეყნის, ჯანომ ქვაზე მხატვრული ჭრა ირჩია, როგორც ქანდაკებასთან უფრო ახლოს მდგომი და შერტა საინტერესო დარგი.

თბილად მიიღო ჯანო ახალმა სკოლამ. აქ, მეორე ოჯახში, მშობლიური ზრუნვა არ მოკლებულია ბიჭუნას. ქვაზე მხატვრული ჭრის 1 კურსის ხელმძღვანელი, მოკანდავე ილი კე-

რსელიძე კარგად იცნობს თითოეულ მოსწავლეს. მშობლივით დასტრიალებს თავს ჯანოსა და მის მეგობრებს, ცოდნასა და ენერჯიას არ იშურებს. ხარობს, რადან მოწაფეები კარგად ეუფლებიან ქანდაკების დარგს, სწავლისაგან თავისუფალ დროსაც ძერწყვენ, ფორმებს იღებენ თბის ნამუშევრების თაბაშიში ჩამოსახხმულად, ქვაში გადაეჭვი მოქანდაკეთა ნამუშევრები.

მუღათიმა შრომამ კარგი შედეგი გამოიღო. უფროსები ემყოფილებითი შესტკრიან ჯანოს ნამუშევრის. მან ახლახან დაასრულა მშუქმის ფიგურის გამოქანდაკება, რომელსც მაისს მოსკოვში, შრომითი რეზერვების მოსწავლეთა და მუშათა სახეობა და გამოუყენებითი ხელოვნების მე-2 საეკვშირო გამოფენაზე უნდა გაეგზავნის. ეს თემა ჯანოს თავიდანვე იზიდავდა. ყაბზეგის მოთბობების კოთხისას მის მუღამ თვალწინ ეღვა საბოცარზე გავლილი ფარა, მთავარები თონზე შორიდახვე შესაზნევი, მკეთრად გამოხატული მწყემსთა სალუეტები. და განა შარტო ჯანოა ასე! თითოეულ ნამუშევარში ნორჩი ავტორის განცდები და ბიოგრაფიის ნაწილიც კი არის ჩაქვილილი. ამიტომ არის, რომ ჯანოს თანაქსელმა და მეგობარმა, თბილესქმმა აეთანდლო ქობლავაშვილმა, რომლის მამა პროფესიით მჭედელი იყო, თბილისში „მწყემსთა“ დასაბარისპირებულ მჭედლის გამოქანდაკება გადაწყვიტა.

ნორჩ მოქანდაკეებს არც წიფილ მის მეგვეჯეებით, ესე იგი მერფრასი მის მასალაზე მომუშავეებით ჩამოუვარდებიან. მათ ჯგუფს, რომელსაც უზუტესი მეგვეჯე ოსტატი ხ. სუმბათაშვილი ხელმძღვანელობს, კარგად იცნობენ სკოლაში, სახელოსნოდან გამოსდის მრავალნაირი აფეჯი, ჩუქურთმები, მაცუტები, მოღველები ქარხნებისათვის და სხვა მრავა-

ლი ამ სახის საგნები. მოსკოვში, საეკვშირო გამოფენაზე, ყველას ყურადღებას იპყრობდა 247 ნაწრისაგან შენდგარი „დეკორატიული ლარნაკი“. აქვე იღვა მეორე ლარნაკი, რომელსც მგაირა ჯიშის ხის—წიფისი, კალისა და რტხილის 260 სხვადასხვა ნაჭერს შეკავდა. ეს რთული სამუშაო სწორედ ზენემ ნაცნობმა მეგვეჯეებმა შეასრულეს.

აგრ, წკვე შეავიჯეთა მესამე ნაქადს უშვებს სასწავლებელი მრავალმა მათგანმა ასახულა მშობლიური სკოლა. სუმბათაშვილი ემყოფილებითი და სიმავით შესტკრის თვის შედირღებს, რომელთა შორის ზოგი ოსტატსაც ეუბრება მეშობაშია. აი თუნდაც, მის საყვარელი მოწაფე გურამ ასაქაშვილი, რომელიც დიდლილოდან მოვიდა სასწავლებლად. მის იზოვითევე უყვარდა სადერგლო საქმე და აქი აუსრულდა კიდევ ნატრამ მან გაზეითდან შერტუო სამხატვრო სახელონო სასწავლებლის არსებობა და მიშინვე თბილისისიყენ გამოშურა. გურამი დიდი დახვედრებულ ოსტატიც ვახლდა თავისი საქმისა. აფემამდ კი იგი მთელ ჯგუფთან ერთად რამენივე დიდ სამუშაოს ასრულებს. მათ შორის, მეორე საეკვშირო გამოფენისათვის მზადდება ლარნაკი—ყამირი მიწის უხეი მოსახეობა, რომელსაც ირგველი დამმშენებს სამეურეო იარაღების ამსახველი მარელოევი და თავიუხის ტექსი ძნა. გარდა ამისა, ოსტატის შერტგენილი ნახაშის მიხედვით და მისივე ხელმძღვანელობით, ნიქიერა მოწაფემ გრიგოლ ბეგიაშვილმა შექმნა ლამაზი აღნაგობის „ქართული სურათი“, რომელიც ამირან ზიხანაშვილმა ორნამენტალურიად შეამკო ვაზისა და ყურძნის მტვერების გამოსახებულთ. მოწონებას იმსახურებს აგრეთვე გამრცდილი ოსტატის დავით გოზლოშვილის ხელმძღვანელობით მეგვეჯეთა მიერ შესრულებული მოჩუქურთმებული ხის ჩარ-



საბატარაში (მარკინა, ქვეთი) „ქართული სურათი“—ნამუშევარი მოსწავლე ზ. ბეგიაშვილისა, ზიხანაშვილის მიერ; (მარჯვნივ) ზვიადან ქვეთი ოსტატ და გზალაშვილის მოსწავლელი ხის მარელოევის შეტარებულ კარხანს შედგით, ზატვის კლასში მეკადრების ატარებს მხატვრული მუშაოს ქანდაკებაზე, მკლდელი.

ორნამენტო მწყელი მოსწავლე მჭერთმებელი ზარისი ანაბეგლი მკუთიანი; მოსწავლე ა. კობე-

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი



# ფანჯივალის მოსახვერკარე

ნიგოითელ მოსწავლეებს რომ კითხვით, როგორ ემზადებიან სასკოლო ფესტივალისათვის, ან როგორ ჩაატარებენ, მას, ისინი მხოლოდ მოცეკვავეებისა და მომღერლების ჩამოთვლით, საზეიმო ცერემონიალის გადმოცემით როდი დაკმაყოფილებიან. ჯერ სკოლის ეზოს და გათვალისწინებენ, შემდეგ თავიანთი მარჯვენით გაკეთებულ საცდელ ნაკვეთს გიჩვენებენ და იმასაც გეტყვიან: ყველაზე ზუსტად ვინ უპასუხებს ცოდნის კარში დასმულ კითხვებზე, ვინ გამოიჩინებს თავს საოჯახო საქმის კარგი ცოდნით.

სკოლის ეზოში ყურადღებას სპორტული მოედანი იპყრობს, მის მოწყობაში სხვებთან ერთად პიონერებიც მონაწილეობდნენ. ყველაფერი გაკეთდა აქ, რის საშუალებაც იყო ამ პატარა ადგილზე... აგერ, ბოძებზე ბადეა გაჭიმული, აქვეა სარბენი ბილიკი. მოედანზე დადგმულია ორბედი, ღერძი და სხვა სპორტული მოწყობილობა, რომელიც კარგ მომსახურებას გაუწევს ნორჩებს, როგორც ფიზკულტურის გაკვეთი-

ლებზე, ასევე სპეციალური წვრთნის დროსაც.

ბავშვებს ძალზე უყვართ თავიანთი სკოლის ეზო, ფიზკულტურის მოედანი. სწორედ ამიტომ წარუდგენ ისინი მათი შემორაგვისათვის. საცდელ ნაკვეთზე გამოყვანილი იქნა ტუიის ნერგები, რომელსაც მალე გადარგავენ სკოლის ეზოსა და მოედნის ირგვლივ. ეს ყველაფერი მოსწავლეებმა ფესტივალისათვის მზადების დღეებში გააკეთეს.

საცდელ ნაკვეთზე ბევრი სხვაც არის საინტერესო. ნორჩ მებნელთა წრის ათმა წევრმა გადაწყვიტა ფესტივალის გახსნამდე „ნორჩი მყნობელის“ სპეციალობას დაუფლებოდა. ეს იოლი საქმე როდი არის. წესების თანახმად, აგრონომიული ცოდნის გარდა, მოსწავლეებმა პრაქტიკულად უნდა აჩვენონ, რომ დაუფლებული არიან მყნობის რთულ ხელოვნებას.

საოჯახო საქმის ცოდნაში, როგორც ცნობილია, გოგონებს დიდი უპირატესობა აქვთ. ეს ალბათ ფესტივალზეც გამოვლინდება. ... ორი დღე გაგრძელდება ნიგოითელ მოსწავლეთა ზეიმი.

თბილისის 33-ე სკოლის პიონერ-მოსწავლეებმა ჯერ კიდევ სასწავლო წლის დასაწყისიდან დაიწყეს სასკოლო ფესტივალისათვის მზადება. ოქტომბრის თვეში შეიქმნა ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტი. კომიტეტის წევრებს იური შენგელიას და ლუარა ყანდაშვილს მოსწავლეთა მხატვრული მომზადება დაევალიათ, ხოლო მეექვსე კლა-

სელებს უთერ ომიადეს და ლიანა კეთილადეს, მეოთხეკლასელ ლიანა ჯანაშიასთან ერთად, ფესტივალისათვის სკოლის ტერიტორიის მორთვა-მოკაშმვა დაეკისრათ.

განწილდა სხვა დავალებებიც. დაიწყო გულმოდგინე მზადება და ამ სამზადისში ფესტივალის დღეც დადგა.

10 თებერვალს, დილის 11 საათზე სკოლის კარმიდამო მოსწავლეთა მხიარულმა ჟივილ-ხივილმა დაფარა. მოსწავლეებზე რომ არაფერი ვთქვათ, რომლებიც არ დაკლებიან ამ დღესასწაულს, სკოლას იმ დღეს მრავალი უცხო სტუმარი ეწვია და სწორედ ეს აღელვებდა ფესტივალის მონაწილეებს. ეს არცაა გასაკვირი, სტუმართა შორის ხომ ბევრი ღვაწლმოსილი ადამიანი—დედები, მამები, დები თუ ძმები იყვნენ.


მაგრამ ეს აღელვება თვითმოქმედი წრეების გამოსვლის დაწყებისთანავე გაქრა, რადგან მასურბელთა ერთსულღვანი, მოწონების ტაში ადასტურებდა, რომ მოსწავლეები კარგად მომზადებული მოვიდნენ ფესტივალზე. განსაკუთრებით დიდი შთაბეჭდილება

მოახდინეს ქართული ცეკვების შემსრულებლებმა: ჯაფარიძემ, მეგრელიშვილმა და დანელიამ. მხატვრულ კითხვაში ყველას ლიანა ჯანაშიამ აჯობა.

ბევრი იცინეს სტუმრებმაც და მოსწავლეებმაც, როდესაც მრავალფეროვან საკარნავალო ტანსაცმელში გამოწყობილი თავის ახლობლები თუ მეგობრები იცნეს. ვინ არ იყო აქ მრისხანე ოტელო თუ სასაცილო ღონკიხოტი, ახალუხიანი ქართველი, თუ ბოხიანი მთიელი. ბოლოს განცვიფრებულ თანასკოლელებს მზარეულის ტანსაცმელში გამოწყობილი, სურსათისანოვავით სავსე კალათით ხელში, მესუთეკლასელი მოსწავლე კანდელაკი მოევლინა.

ბევრი სხვა ღონისძიებაც ჩატარდა იმ დღეს სკოლაში, მაგრამ ყველაზე მეტი მოწონება მაინც სკოლის ქართულ ხალხურ საკრავთა ორკესტრის გამოსვლამ დაიმსახურა...

„არც საქალაქო პიონერული ფესტივალისათვის შევირცხვენთ თავს!“ — ამბობენ თბილისის 33-ე სკოლის პიონერები და გაცხოველებით ემზადებიან პიონერთა დიდი ზეიმისათვის.



ამ მედლებით დაჯილდოვდებიან რესპუბლიკურ ფესტივალზე გამარჯვებულები.






# როგორ იქცა ბუზი სკილორ

## ს. შაბრძინი

ერთხელ ვაწო შეეკითხა პეტას:  
 — რას ნიშნავს, როცა ამბობენ: „თუ ტყუილი, ზომის მაინც ნულარ გადაჭარბებო?“ განა ტყუილის ზომა არსებობს?  
 — ცხადია, არსებობს.—მიუფო პეტამ.  
 — ტყუილს რა ზომა უნდა ჰქონდეს?  
 — ის ზომა რომ, ტყუილი შეიძლება იყოს დიდიც და პატარაც.  
 — ჩემი აზრით, შეუძლებელია რაიმე განსხვავება არსებობდეს მათ შორის.  
 — შენ ბევრი გესმის!—თქვა პეტამ.  
 მათ ცოტა ხანს კიდევ იდავეს და დას-ცილდნენ ერთმანეთს. რა იცოდა პეტამ, რომ ეს დავა სულ მალე, სრულიად მოულოდნელად გადაწყდებოდა.  
 სახლში მივიდა თუ არა, დედამ ამბავი დაახვედრა:  
 — პეტა, შურა იყო, ეს-ესაა წავიდა. წიგნი დაგიტოვა აი, იქ, მაგიდაზე.  
 — რატომ არ დამიცოდა?  
 — ეჩქარებოდა. არითმეტიკაში ხუთიანი მიეღო და დედ-მამას უნდა ვახარო.  
 — დიდი ამბავი მომხდარა!—ჩაილაპარაკა პეტამ,—იქნება მეც მივიღე დღეს ხუთიანი.  
 — მართლა? რომელ საგანში?—გაეხარდა დედამ.  
 — რუსულ ზებირში,—დაუდევრად წამოისროლა პეტამ.  
 — ეს რა კარგი ამბავი მითხარი, ჩემო პეტა!—და დედამ სიამოვნებისაგან თვალე-ბი გაუბრწყინდა.  
 პეტა ოდნავ გაწითლდა, რადგან, სიმართლედ რომ ითქვას, მან ხუთიანი კი არა, ოთხიანი მიიღო.  
 — რად დავიკვებე?—გაიფიქრა მან.—ძალია ხომ არაფის დაუტანებია, მაინცდამაინც იც-რუეო?!—მაგრამ რაღა გაეწყობოდა, ნათქვამ სიტყვას უკან ხომ ვეღარ წაიღებდა!  
 საღამოს, ლოგინში, პეტას მოაგონდა ეს ამბავი, მაგრამ თავი მალე დაიმშვიდა: „ტყუილი შეიძლება სპილოსავით დიდიც იყოს, და ბუზივით პატარაც.—გაიფიქრა მან,—ოთხიანი—ეს თითქოს იგივე ხუთიანია. მართალია ცოტა ვიცრუე, მაგრამ საშიში არ არის, ბუზს ვერც შეამჩნიებენ.“ — ფიქრებში კიდევაც ჩაეძინა.  
 ერთი კვირის შემდეგ პეტამ ნიშნების ვურცელი მიიღო და, უნდა ითქვას რომ, სრულდებოდაც არ იყო იგი ცუდი. სულ ხუთიანები ეწერა გარდა ერთი ოთხიანისა—რუსულ ზებირში. მაგრამ ამ ოთხიანმა ძლიერ დააღონა პეტა, რადგან ეს სწორედ ის ოთხიანი იყო, რომლის შესახებაც იცრუა მაშინ და, თანაც ისე იყო ატუზული ქალაქ-დზე, როგორც ერთადერთი ხე დიდ მინდორში. შეუძლებელი იყო მისი არშემჩნევა. ესეც შენი ბუზი! როცა დედა შეეკითხა ნიშ-ნების ფურცლის შესახებ, პეტამ ძლივს წაილულლულა:  
 — არ მოუციათ,—და თვალეები ძირს და-ხარა.  
 — რატომ?!—გაოცდა დედა.



პეტა ოდნავ გაწითლდა და მოულოდნელად წამოისროლა:  
 — მასწავლებელი ავად გახდა.  
 — დეიდა ნატო? რა დაემართა?  
 — ქურჩაზე... მოდიოდა... შო, ქურჩაზე. ფეხი წაუხსლტა და სწელი იღრძო.  
 — ეშ, ეს რა მითხარი! საბრალო ნატო! როგორ მოუვიდა?  
 პეტამ რაღაც წაილულლულა და მეორე ოთახში გავიდა.  
 რამდენიმე დღის შემდეგ პეტამ ნიშნების ფურცელი მასწავლებელს დაუბრუნა.  
 — რატომ არაა ხელმოწერილი მშობლე-ბის მიერ?—შეეკითხა მასწავლებელი. პეტა გაწითლდა და თქვა:  
 — დეიდა ნატო... ჩვენ... იცით... დედას ასეთი ცუდი... შეემთხვა...  
 — რა მოხდა, პეტა? დალაგებთ მითხარი, დედას ხომ ცუდი არაფერი მოხვლია?  
 — დედას ქურჩაზე ფეხი დაუხსლტა და ხე-ლი იღრძო.  
 — ეშ, ეს ცუდი ამბავია!—შეწუხდა მას-წავლებელი.—ახლა როგორ გრძნობს თავს?  
 — დადის, მაგრამ მუშაობა და წერა არ შეუძლია.  
 დადარდინებულმა მასწავლებელმა თავი გადაიქინა. ჭარხალივით გაწითლებული პეტა კი ძლივს მივიდა თავის ადგილას და დაჯდა.  
 — ეს რა მემართება?—გაიფიქრა მან.—როგორ იზრდება ეს პატარა ტყუილი ბუზი კა არა, ის ახლა ძაღლსაც გადაჭარბებს!  
 გავიდა რამდენიმე დღე. ერთ შესვენებაზე ნატო მასწავლებელმა პიონერებს უთხრა:  
 — გრცხვენოდეო, ბავშვებო! ამხანაგს დე-და ავად ჰყავს, ვინ იცის სახლში პეტას რამდენი საქმე აქვს, თქვენ კი მასთან შევლა ფიქრადაც არ მოგხვლიათ!  
 პეტას გააცია. ის კარგად იცნობდა თავის მეგობრებს, იცოდა, რომ ისინი აუცილებლად ინახულებდნენ მას და ფიქრობდა თუ როგორ დაეღწია თავი ამ გასაჭირისაგან. მაგრამ ვერაფერი მოიფიქრა, რადგან დედ-ვისაგან სულ გაეფანტა აზრები თავში. შინ რომ დაბრუნდა, დედამ ჰკითხა:  
 — როგორ არის მასწავლებელი?  
 — ცუდად!—უბახუხა პეტამ და საკუთარი ხმის მომენაც შეზიზღდა.  
 — აქამდე უნდა გენახა დეიდა ნატო. თუმცა... კარგი, მეც წამოვალ, ერთად წა-ვიდეთ.  
 — ის... ის სახლში არ არის. საავადმუ-ფოში წაიყვანეს, ქალაქგარეთ.—ძლივს წა-ილულლულა პეტამ. ამ დროს კარებზე და-აკაკუნეს.  
 „ისინია!“—გაუეღვა თავში პეტას და მყისვე იქით მოჰკურცხლა. ოდნავ გამოაღო შემოსახველი კარი, რომ ბავშვები არ შე-მოსულიყვნენ, და ათრთოლებული ხმით წა-ჩურჩულა:  
 — ჩჩჩ... ჩჩჩ! შურა, დღეს ჩვენთან მოს-ვლა არ შეიძლება. დედასთან ექიმია... ექი-მებია მოსული, იმათ აკრძალეს. ჩჩჩ... ჩუ-მაღ!

— კარგი, პეტა, ხვალ მოვალთ, ხვალ გინახულებთ.—უთხრა შურამ.

— ზეგაც მოვალთ,—გაამხნევა გრიშამ.

— ყოველდღე ვივლით,—დააიმედა პეტამ.

პეტამ ძლივს მიხურა კარი, ხელები უკანკალეზდა. მას თავისთავი სძაგდა.

— ვინ იყო?—ჰკითხა დედამ, როცა პეტა სახადილო ოთახში დაბრუნდა.

— შურა.

— რატომ არ შემოვიდა?

— გზაში ფეხსაცმელი გაჰხევიდა,—გაჭირვებით წაიღულდულა პეტამ.

— მერე რა მოხდა?!—გაოცდა დედა.

— ფეხსაცმელებში თოვლი... სველი თოვლი შესვლია და... შეეშინდა... გადნება და იატაკი მოისვრებაო.

— რა სისულელეა!—გაჭირვებით აიჩჩინა მხრები დედამ,—უნდა შემოგეყვანა აუცილებლად!

სალამოს, ლოგინში, შეშფოთებული ფიქრობდა პეტა იმის შესახებ, რომ ტუპილი არაჩვეულებრივი სისწრაფით იზრდება ყოველდღე კი არა, ყოველწუთს, რომ ახლა იგი ძალღს კი არა, ცუნსაც გადააჭარბებს. როცა დაეძინა, სიზმარში სპილო ნახა. პეტამ მაშინვე იცნო ის.

— როდის მოასწარი, რომ ამოდენა გაზრდილხარ?—შეეკითხა მას პეტა.—ცოტა ხნის წინათ ბუზისოდენა იყავი!

სპილამ აიშვირა ზევით თავისი გრძელი ხორტუმი, ააფათუნა ვეება ყურები და ართხრობდა:

— ხო, ხო, ხო! შენ მე, ხო, ხო, ისე მასაზრდოებ, ჩემო მეგობარო, რომ მალე ალბათ მთელ დედამიწის ზურგზე, ხო, ხო, ხო, ვერც ერთი სპილო ხიდილით მე ვერ შემედრება, ხო, ხო, ხო!

ამ როზროზზე პეტას გაეღვიძა. რადიოში რაღაც ხმები ისმოდა. პეტამ თავისუფლად ამოიხუნთქა და ჩაცმას შეუდგა, მაგრამ მაშინვე სკოლა მოაგონდა და გუნება წაუხდა. სკოლაში, ჯერ კიდევ გაკვეთილების დაწყებამდე, ნატო მასწავლებელი შეეკითხა მას:

— რა თქვეს გუშინ ექიმებმა?

— არ ვიცი,—წაიღულდულა პეტამ,—არ ვიცი...

— მე დღეს ვინახულებ დედას.—დაამშვიდა მასწავლებელმა.

— დედა არ არის სახლში,—აცხცახდა პეტა,—საავადმყოფოში წაიყვანეს... ქალაქგარეთ.

— ნუ ღელავ, მიუალერსა მასწავლებელმა,—აგრე რად დარდობ, საშიში არა არის რა. მე წავალ საავადმყოფოში. თუ გინდა შენც წამოდი ჩემთან ერთად.

პეტამ მადლობა გადაუხადა და ძლივს წაბარბაცდა მერხისაკენ. არასოდეს ჯერ ასეთ ცუდ დღეში არ ყოფილა. კიცხავდა თავისთავს. არ იცოდა რა ექნა.

უცებ უბრალო და ნათელმა აზრმა გაუელვა თავში.



— რატომ აქამდე ვერ მოვიფიქრე?!—გაუკვირდა პეტას...

როცა პეტამ ეს სევდიანი მოთხრობა დაამთავრა, მასწავლებელი შეეკითხა:

— როგორ ფიქრობ, პეტა, კარგი არ იქნება ეს ამბავი მთელ ჩვენს კლასს მოვუთხროთ?

— მე ვფიქრობ, კარგი იქნება.—თქვა პეტამ.


უნდა აღინიშნოს, რომ პეტა სრულიადაც არ იყო მშობარა. მან იმ დღესვე უამბო ამხანაგებს ყველაფერი ისე, რომ არაფერი არ დაუფარავს და... მაშინვე გულს მოეშვა. მთელი დარდი გაუქარწყლდა.

რაღა თქმა უნდა, ამის შემდეგ პეტა სასტიკად ერიდებოდა... ბუზებს.

თქვენ მიხვდებით, რომლებს. დიახ, უფროსის ბუზებს, რომელთაც ასე ადვილად სჩვევით სპილოდ გადაქცევა.

თარგმნა ალ. ბაბუნაშვილმა

ნახ. გ. გელოვანისა



დღეს სირენას უწოდებენ სასიგნალო საყვირს, რომელიც გამყიფარ ხმას გამოსცემს. მას ხმარობენ გემებზე, სახანძრო მანქანებზე და ასე შემდეგ. ეს სახელწოდება ბერძნულ მითოლოგიასთან არის დაკავშირებული. ბერძნები სეირენს ეძახდნენ ზღვის ნიმფებს—გრძნეულ არსებებს, რომლებიც თითქოსდა ხმელთაშუა ზღვის ერთ-ერთ კუნძულზე ცხოვრობდნენ, ტკბილი სიმღერით თავისთან იტყუებდნენ და შემდეგ ღუპავდნენ მეზღვაურებს. ამ მნიშვნელობით ეს სიტყვა მრავალი საუკუნეა რაც დამკვიდრდა ჩვენში. დღეს ხშირად ვამბობთ: „სირინოზის ხმა აქვს, სირინოზივით გალობსო“.

ჰომეროსის „ოდისეა“ მოგვითხრობს, თუ როგორ გადაირჩინა ოდისეესმა თავი სირენებისაგან, როდესაც მან ერთ-ერთი მოგზაურობის დროს მათ კუნძულს ჩაუარა. მან სანთლით ამოუღსო ყურები ყველას, ვინც კი ხომალდზე იმყოფებოდა, თვითონ კი თანამგზავრებს უბრძანა ანძაზე მიეკრათ. როდესაც კუნძულს მიუახლოვდნენ, ოდისეესი ისე მოიხიბლა სირენების ტკბილი გალობით, რომ დაავიწყდა საშიშროება და ამხანაგებს ანიშნებდა ვამათავისუფლეთ, კუნძულზე უნდა წავიდეთ. მაგრამ მათ ახსოვდათ ოდისეესის გაფრთხილება და კიდევ უფრო მაგრად მიაკრეს ანძაზე. სირენები კი, რომელთაც სიცოცხლე მხოლოდ იქამდე შეეძლოთ, სანამ ვინმე გაუძღებდა მათ სიმღერას, ზღვაში გადაცივდნენ და წყალქვეშა ქვებზე იქცნენ. მეცნიერთა შორის მრავალი აზრი არსებობს, თუ სახელდობრ რას განასახიერებდნენ ალევგორიულად სირენები: ოკეანის მოლაღატობრივ სიჩუმეს, რომელიც წყნარად მოლივლივე ზედაპირის ქვეშ სიკვდილსა და განადგურებას მალავს, თუ სიმღერისა და ენამზეობის მაგიურ ძალას.


ასეა თუ ისე, სირენის ხმა რაღაც საფრთხესთან იყო დაკავშირებული. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ ეს სახელი დაარქვეს საყვირებს, რომლებსაც შუქურებზე დგამდნენ.



ქ

უყვართ

განვარჯიში



— წავაგეთ, სამარცხვინოდ წავაგეთ! — გულდაწყვეტილი ჩილაპარაკა თბილისის 22-ე სკოლის კალათბურთელთა გუნდის კაპიტანმა, როდესაც ოფელში გაწურული ხუთი კალათბურთელი თავგაქინდრული შევიდა გასახდელ ოთახში.

— „წავაგეთ!“ მერე იმას რატომ აღარ იტყვი, ვისთან წავაგეთ, ქალაქის ჩემპიონია გუნდი!..“ — შეეკამათა კაპიტანს ერთი.

კარებს ვილაც მოაწვა, შემოალო და გასახდელში მეხუთეკლასელი ელდარ თუთარაულის გაბურძვნილი თავი გამოჩნდა.

— რა ცხვირები ჩამოგიშვიათ, 25-ე სკოლას კალათბურთელების იმედი აქვს მართო. აბა, თუ ბიჭები არიან, ტანვარჯიშში მოგვივონ! — სხაპასხუპით თქვა მან და აყლაყულა კაპიტანს გახედა.

— ტანვარჯიშში?


ტანვარჯიშში მართლაც ბადალი არა ჰყავს ოცდა მეორე სკოლას მთელ რაიონში. გასულ წელს ქალაქის პირველობაზე თანრიგოსნებისაგან დაკომპლექტებულნი გუნდი გაიყვანეს შეჯიბრზე და მოულოდნელად გაიმარჯვეს კიდევ. ეს მით უფრო მოულოდნელი იყო რომ, სულ ორიოდე წლის წინათ, სკოლაში ტანმოვარჯიშეები თითზე ჩამოსათვლელები იყვნენ.

1955 წელს, მასწავლებელ ვახტანგ ჩიტიშვილის ინიციატივით სკოლაში ტანმოვარჯიშეთა რამდენიმე ჯგუფი შეიქმნა — 90 მოსწავლე ჩადგა მწკრივში. მაშინ მოვიდნენ სპორტდარბაზში მეოთხეკლასელები — მაყვალა კანკავა და ეთერ ქოჩიჩიშვილი. მოკრძალებულ, უიმედო მზერას აყოლებდნენ მასწავლებლის მიერ ნაჩვენებ რთულ ილეთებს. იარაღებზე რომ ავიდოდნენ, იმასლა ფიქრობდნენ, ძირს არ ჩამოვარდნილიყვნენ და თავი არ გაეტებათ.

გაიარა თვეებმა. გამუდმებულმა წვრთნამ თავისი გაიტანა. უმწეო, გაუბედავ ილეთებს თანდათან ლაზათი და ელფერი შეემატა. ერთი წლის შემდეგ მაყვალასა და ეთერის მკერდზე მრგვალი სამკერდე ნიშანი დაინახეს ამხანაგებმა, ზედ ბრკყვიალა ასოებით ეწერა: „მესამე თანრიგი“. მეექვსე კლასში მათ კიდევ მეტი წარმატება მოიპოვეს — ჩააბარეს მეორე თანრიგი. ახლა ისინი ახალბედა სპორტსმენებს — თავიანთ ახალ მეგობრებს უსწორებენ ვარჯიშებს.



სურათებზე: (მარცხნივ) სექციის წევრები იმეორებენ ვარჯიშს; მარჯვნივ: (ქვემოლან ზევით) პირველი დამოუკიდებელი „ვარჯიში“. „უპ, რა ძნელია!“ — ფიქრობენ ახალბედა ტანმოვარჯიშეები; მტკიცე, კუნთმაგარი მკლავი უნდა გქონდეს ექვსმეტრიან ბაგიზე რომ ასე იოლად აცოცდე; ტანმოვარჯიშეთა ერთი ჯგუფი შვედურ კედელზე ასრულებს წინწერის.



გასულ წელს ტანმოვარჯიშეთა სექცია ახალი ნაკადით შეივსო. მაშინ მოვიდა სექციაში ელდარ თუთარაული, სწორედ ის, კალათბურთელებს რომ ამხნეებდა და ტანმოვარჯიშეებისაგან რევანშის აღებას რომ პირდებოდა. მასთან ერთად დაიწყო ვარჯიში მეხუთეკლასელმა იური ფირცხალაფამაც. ახლა ისინი უკვე სკოლის სახელისათვის იბრძვიან და, როდესაც მათსავით ენერგიულ, ცოცხალ, ცქრიალა ოთხმოცდაათ ბავშვს დააკვირდები, არ შეიძლება ეჭვი შეგებაროს, რომ ისინი მართლაც გაიმარჯვებენ და კალათბურთში წაგებისათვის რევანშსაც აიღებენ. იური და ელდარი მეხუთეკლასელები არიან, ერთ მერხზე სხედან და რაიონულ ფესტივალზეც ერთად გამოვლენ.

ახლა, როდესაც ნათელ ფართე დარბაზში რამდენიმე ჯგუფი ცალ-ცალკე ატარებს ვარჯიშს, პირველ გუნდში თავიანთ ძველ მეგობრებთან—ვალია ჩუხლებოვასთან და ალა მაქსიმოვასთან—ერთად ეთერსა და მაყვალას დაინახავთ. ისინი უკვე პირველი თანრიგის ვარჯიშებს ამზადებენ და ფესტივალისათვის ჩაბარების იმედიც აქვთ.

მეორე ჯგუფში, ლერძთან ელდარი და იური მოჩანს. მესამეში... მესამეში ჩვენ არავის ვიცნობთ. ესენი სულ ახალი „ოსტატები“ არიან. მხოლოდ რამდენიმე დღეა, რაც დარბაზის კარები შემოაღეს მეოთხეკლასელებმა ნელი გოგოლაძემ და დოდო ზავილაშვილმა. მათ ჯერ არ აქვთ იარაღზე ასვლის უფლება, ამიტომ მოთმინებაა საჭირო. მაგრამ ეს რაა? ჩანს ნათელა გოგოლაძემ ვეღარ მოითმინა: უნდა თვითონ სინჯოს—ძნელია ორძელზე ვარჯიში? მაგრამ ამისათვის ხომ ჯერ ძელზე ასვლაა საჭირო. მოავლო კიდევაც ხელი ძელს, რამდენიც ღონე ეყო, მკლავებითაც აიწია მალა, შემდეგ ფეხი გაუყარა... ასვლით ვეღარ ავიდა, ჩამოსვლაც გაუჭირდა. მასწავლებელმა იხსნა, მივიდა, ძირს ჩამოსვა. გაეცინათ სკამზე მჯდომ თანაჯგუფელებს. არა უშავს, ასე დიწყეს პირველად მაყვალამ და ეთერმა, იურიმ და ელდარმა. ასე იწყებს პირველად ყველა.



ახლა სკოლაში გაცხოველებული მზადდება. ხუმრობა ხომ არ არის, მალე რაიონული ფესტივალი უნდა ჩატარდეს. მერე კი საქალაქო ფესტივალისათვის დასჭირდებათ მზადება.

ამ სკოლის ყოველი ტანმოვარჯიშე დარწმუნებულია, რომ ფესტივალზე კარგად გამოვლენ, რაიონში პირველ ადგილს აიღებენ და საქალაქო პირველობაზე ბევრს არ გაუშვებენ წინ.

ვნახოთ, ფესტივალის დღეებიც ხომ შორს არაა!

**ზურაბ ლუქაშელი**

ფოტო შ. ჩხეტიანისა





## საწვრთნელი ლაშქრობა

— „ყურადღება, ყურადღება! ლაპარაკობს სასკოლო რადიო-კვანძი! ნორჩი მოგზაურებო, საწვრთნელი ლაშქრობისათვის სამზადისი დაიწყო, მიაკითხეთ ნორჩ მოგზაურთა სასკოლო შტაბს!“ — ყოველ შესვენებაზე მოისმენთ ამ შინაარსის განცხადებას თბილისის რკინიგზის მე-7 სკოლის დერეფანში.

ბავშვების ყუჩინასა და ჟრიაშულში მკაფიოდ ისმის ეს სიტყვები. წამდაუწუმ იღება პიონერთა ოთახის კარები, თანდათან იზრდება მაგიდის გარშემო პიონერთა რკალი და ლაშქრობაში მონაწილეობის მსურველთა რიცხვი.

მართალია, ჯერ სასწავლო წელი არ დამთავრებულა, ჯერ ისევ წკრიალებს სკოლის ზარი, მაგრამ პიონერები უკვე ემზადებიან საზაფხულო ლაშქრობა-მოგზაურობისათვის. სწავლობენ ლაშქრობაში თოკის გამოყენებას, საგზაო ნიშნების განლაგებას, გარემოს გეოგრაფიული ადგილმდებარეობის აღწერას.

აგრე, მაგიდაზე პირველი ლაშქრობის მარშრუტი დევს. ომარ თაფლაძეს წინ მოზრდილი ქალაღი გაუფენია და გეგმა-რუკას ხაზავს.

ომარმა ფურცლის თავში პირობითი ნიშნით სკოლის შენობა „აღმართა“, სკოლის შენობიდან კი წითელი წყვეტილი ხაზი გამოიყვანა. სწორედ აქედან იწყება ეს მოგზაურობა.

ბოტანიკური ბაღი — კომკავშირის ხეივანი — ოქროყანა — ფუნიკულიორი — მთაწმინდა. აი, ასეთია ნორჩ მოგზაურთა პირველი საწვრთნელი ლაშქრობის მარშრუტი. ლაშქრობისათვის სამზადისის დღეებში რაზმეულის საბჭომ ეს მარშრუტი მზვერავებს: ვახტანგ ციქური-შვილს, ნიკო ჩხაიძეს და იასონ მამაცაშვილს ჩააბარა.

მათაც კომპასი მოიმარჯვეს და საქმეს შეუდგნენ.

მზვერავებმა სკოლიდან მარშრუტის უკანასკნელ პუნქტამდე კარგად და გულდასმით უნდა შეისწავლონ გზა. მარშრუტში თვალნათლივ უნდა აღნიშნონ გზად-შემხვედრი ყოველი ქუჩა, შესახვევი, ხიდი, ბილიკი თუ ტყე, რომ მოგზაურთა რაზმმა მოგზაურობის დაწყებამდე ივარაუდოს, თუ სად შეისვენოს, სად ისადილოს, სად რა ღირსშესანიშნავი ადგილები გაიცნოს.

აი, მზვერავები დაბრუნდნენ.



მზვერავები: ნიკო ჩხაიძე, ნუგზარ გიგაური, გვიც ცოდურაშვილი და იასონ მამაცაშვილი მარშრუტს ამოწმებენ.

გეგმა-რუკა და მარშრუტი დაზუსტებული და ნათელია.

—მოსალოდნელი ამინდი კარგია, საქურველი წესრიგშია, მოლაშქრეთა განწყობილება ხალისიანი და ჯანსაღია, — უპატაკა უფროს პიონერხელმძღვანელს ლაშქრობის მძღოლმა, მეექვსეკლასელმა ნიკო ჩხაიძემ, და პიონერები სამოგზაუროდ დაიძრნენ.

პიონერულმა საყვირმა შეძრა სანაპირო.

ლაშქრობის მძღოლი, მზვერავები, სანიტრები, მეკოცონე და მზარეულები—ერთი სიტყვით, ნამდვილი მოგზაურობაა. მეხუთეკლასელი ირმა ბერიკაშვილი თავს არ უჯერებს. „ნუთუ ეს მე ვარ, მხარზე ზურგჩანთა მკიდია, ხელში სალაშქრო ჯოხს ვიბიჯებ და ბექობზე ავდივარო“, — რამდენჯერმე გაიფიქრა ირმა გზაში, და იცით რატომ? შარშან ზაფხულს ირმა თბილისის საქალაქო პიონერთა ბანაკში იყო. როდესაც პიონერები სამოგზაუროდ გაემგზავრნენ, ირმასაც უნდოდა მაშინ ზედაზენზე ასვლა, ისიც ჩადგა მწკრივში, მაგრამ არა, ლაშქრობის მძღოლმა ირმა მწკრივიდან გამოიყვანა: საწვრთნელი ლაშქრობა არ გაგვიღია, ფეხით სიარულს შეჩვეული არა ხარ და ვერ ივლიო. იმ დღეს დიდხანს იტერა განწყენებულმა გოგონამ. ახლა კი მხნედ მიაბიჯებს თანატოლებთან ერთად.

ეს საწვრთნელი ლაშქრობა ირმასაც და მის თანამგზავრებსაც მომავალ მოგზაურობისათვის გამოაწრთობს, ასწავლის ფეხით შორ მანძილზე სიარულს, დაბრკოლებათა გადალახვას და ბუნებაზე დაკვირვებას.

მზის სხივებმა გაჰკვეთეს აღმოსავლეთი. მზეც ამოვიდა, როდესაც ჩვენმა მოლაშქრეებმა ენგელსის ქუჩის ზემოთ ბილიკი გადაიარეს და ბოტანიკური ბაღისაკენ შეუყვნენ გზას.

მწვანედ დაბურულა ბოტანიკური ბაღი. აჰა, კომკავშირის ხეივანიც! საოცრად ლამაზი იყო აქაურობა და პირველი შესვენებაც მოლაშქრეებმა სწორედ აქ მოაწყეს.

თვალის დახამხამების უმალ გაითანტნენ პიონერები. მეხუთეკლასელმა ვახტანგ ციქურიშვილმა აყვავებულ ხეს რომ შეხედა, ბუნებისმეტყველებაში ნასწავლი გაკვეთილი მოაგონდა, ფრთხილად მოსწია თავისკენ ნუშის ტოტი და ერთ ყვავილს გამადიდებელი შუშა დაუმიზნა.

„ბუტკო, გვირგვინი, მტვრიანები“... — გულში გაიმეორა ელგუჯამ ყვავილის შემადგენელი ნაწილები.

— აბა, მითხარი, როგორ და რა შემთხვევაში ხდება დამტვრევა? — გასძახა ელგუჯამ მანანა გელაშვილს. მანანა თავისი საქმით იყო გართული, სულაც არ ეცალა ელგუჯასათვის. იგი ხეივანში გავრცელებულ მცენარეთა ჰერბარიუმს ადგენდა. გვერდით საშრობი ბადე გაეშალა და ერთმანეთის მიყოლებით ფრთხილად აწყობდა ნაწფოთლებსა და ყვავილებს. თითოეულ ექსპონატს მანანა თავის სრულ წარწერას უკეთებდა.

პიონერებმა ხეივანში ბევრი ირბინეს და იმღერეს;



—მომეცი ხელი, ზაურ, — ბექობზე ასვლაში შეეშველა ელგუჯა ჭიჭინაძე ზაურ პაპიძეს.

ბოლოს, ბურთის თამაშობითაც რომ გული იჯერეს, მალალ ბექობს თავზე მოექცნენ და დედაქალაქს გადმობედეს. ხეივანში ბავშვებმა ძველი და ახალი თბილისის ცხოვრებისა და მშენებლობის ამსახველი გამოფენა დაათვალიერეს.

ისევ აიკრეს მოგზაურებმა „გუდანაზადი“, ხელისგულვით გაშლილ სწორ გზას დაადგნენ და გეზი ოქროყანისკენ აიღეს.

ერთმწკრივად მოწყობილი რაზმი დინჯი, თანაბარი ნაბიჯით მიემართებოდა, რადგან ჩქარი სიარული მოგზაურობისას სწრაფად დალლას იწვევს.

— მიტო, შევისვენოთ, რა, შენი ჭირიმე, შევისვენოთ. — კენესით გასძახა ნუგზარ გიგაურმა ლაშქრობის მძღოლს.

— ახლა არ შევისვენეთ? ცოტაც გაუძელი, არა გიშავს. — მშვიდად უპასუხა მიტომ.

კარგი გაძლება გინდა, როცა ზურგზე უზარმაზარი ჩანთა გაქვს მოკიდებული, გასავლელი კი არც ისე ცოტა მანძილი დარჩა.

— არა, მაინც რა გიწყვია მაგ ჩანთაში მაგდენი! — შემოესიენ ამხანაგები ნუგზარს და ზურგჩანთა გაუჩხრიკეს. კალოშები, თბილი პალტო, ხელთათმანები... პიო-

ნერები გაკვირებული ათვლიერებდნენ ნუგზარის ჩან-  
თაში ზედმეტ ნივთებს. მერე კი სიცილი წასკდათ.

— აბა, რომ გაწვიმდეს, რა ჩავიცვა?— ჩაიბურღლუნა  
ნუგზარმა.

— რომ გაწვიმდეს?!— გაიმეორეს ნუგზარის შეკითხვა  
ბიჭებმა და დალილობისაგან დაოსებულ ნუგზარს და-  
ლაგებით აუხსნეს, რომ მოლაშქრეს წვიმისა არ უნდა  
ეშინოდეს.

— შარშან ბაკურიანის ბანაკიდან კობტაგორაზე მიე-  
დიოდით. გზაში დიდი წვიმა დაუშვა, — წამოიწყო ნი-  
კო ჩხაიძემ, — მართალია, მალე გადაიღო, მაგრამ ჩვენ  
თავიდან ფეხებამდე მოვასწარით დასველება. აი, იმ დღეს  
ვისწავლე როგორ უნდა მოიქცე, როდესაც ლაშქრო-  
ბაში წვიმა დაგასველებს. და ნიკომ ასწავლა თანამგზაე-  
რებს, რომ წვიმაში დასველების შემდეგ ხმელი ტოტე-  
ბისაგან დიდი კოცონი უნდა დაინთოს, მას გარს უნდა  
შემოუსხდნენ მოლაშქრენი, ტანსაცმელი გაიხადონ,  
მაგრად გაწურონ, ხელახლა ჩაიცვან და ცეცხლს მიე-  
ფიცხონ.

მართალია, იმ დღეს ჩვენს მოლაშქრეებს წვიმა არ  
დასწრებიათ, მაგრამ ოქროყანის ტყის პირას კოცონი  
მანც გააჩაღეს. მოლაშქრე მზარეულებმა— ირმა ბერი-  
კაშვილმა და ნანული გოგირაიშვილმა კარტოფილი  
დაფუჭენეს, თამაზ იმნაძემ და ზაურ პაპიძემ ტყიდან

ხმელი ფიჩხი მოიტანეს, გივი ცოფურაშვილმა ყურიან  
ქვებით წყალი მოარბენინა. შემწვარი კარტოფილი  
მოყვარულებმა ლადარში გაახვიეს კარტოფილი.


ტყის საამო სიგრილეში ისადილეს პიონერებმა.  
მზე გადასული იყო, როდესაც ჩვენმა მოლაშქრეებმა  
ფუნიკულიორის პლატო გადმოიარეს და მთაწმინდა  
ეწვიენ. აქ მათ ჩვენი სახელოვანი მწერლებისა და ს  
ზოგადო მოღვაწეების საფლავეები ინახულებს და კორ  
ჩიოტისა და ენძელების პატარა თაიგულებით შეამკეს  
შემდეგ კი ჩამოსხდნენ და მათს ცხოვრებასა და მოღვა  
წეობაზე ისაუბრეს.


ბინდდებოდა, როდესაც მოლაშქრეები მამადავით  
კალთებზე დაეშვნენ.

... მეორე დღეს სკოლის დერეფანში კვლავ ისმოდ  
მოსწავლე დიქტორის ხმა, იგი მსმენელებს მოუთხოვდა  
პირველი საწვრთნელი ლაშქრობის შესახებ. ნორჩ მოგ  
ზაურთა შთაბეჭდილებებს განსაკუთრებული ყურადღე  
ბით ისმენდნენ ისინი, ვინც ჯერ არ ყოფილან სამოგ  
ზაუროდ, ვისაც ჯერ კიდევ არ მოუგდია ზურგჩანთა  
არ უგეშია სალაშქრო კერძი, დაბრკოლებებთან არ  
უბრძოლია და ფეხით არ მოუვლია მშობლიური მხარე

რუსულან პერკინა

ფოტო დ. იაკობაშვილისა






უფრო ავმაღლდეთ გარეთ!  
 უფრო განვმტკიცდეთ შიგნით—  
 თუ სადმე წახვალ არედ,  
 წიგნით  
 და მხოლოდ  
 წიგნით!

მეგობარია, რომელს  
 ბადალი არ ჰყავს ქვეყნად.  
 წიგნი! წიგნი სურს მშრომელს!  
 ვიყოს,  
 ვიმღეროს,  
 შევქმნათ!

*ქაიხუაძის ქაიხაძე*







## როგორ დამეგობრდნენ ფრინველები

(ბირმული ხალხური ზღაპარი)

ეს ამბავი დიდი ხნის წინათ მოხდა ბირმის ერთ-ერთ ტყეში, გაუვალი შამბნარების გვერდით მზის სხივებით გასხივოსნებული ველებიც გაშლილიყო. უზარმაზარ ხეებს კენჭვროები ცისათვის მიეზღინათ, ტანზე ხვიარა მცენარეები დახვევოდათ. ნაირფერი ყვავილები ხარობდა ირგვლივ.

მრავალი სხვადასხვა ჯიშის ფრინველი ბინადრობდა ამ უღრანსა და დაბურულ ტყეში.

წინათ, დიდი ხნის წინათ, მეთევზეები ცდილობდნენ რაც შეიძლება ჩქარა გაცლოდნენ აქაურობას, რათა არ მოესმინათ ყურთასმენის დამხშობი, გულშემზარავი ჭყვივილი აქაური ფრინველებისა.

მაშინ ფრინველთა შორის მეგობრობა არ არსებობდა, როგორც კი შეგროვდებოდნენ, დაიწყებდნენ დავასა და ჩხუბს. დანახავდა თუ არა ერთი ჩიტი მეორეს, აფორიაქდებოდა, მოჰყვებოდა განუწყვეტელ ჭყვივლს:

— არა, არა, ეს ჩემია! არა, მე პირველი მოვედი! არა, არა, არა! — და მოწინააღმდეგისაკენ გაექანებოდა, რათა ერთხელ მაინც ჩაეკრა ნისკარტი ქოჩორში. არც მოწინააღმდეგე უთმობდა და ასე იწყებოდა ჩხუბი და უსიამოვნება.

სულ პატარა მიზეზი იყო საკმაო, რომ წავეინკლავდნენ ბულიყენენ! ჩხუბობდნენ მატლისათვის, ხის ტოტისათვის, ვის, ბუმბულისათვის, და ხშირად ისე გლეჯდნენ მას, რომ აღარც ერთისა და აღარც მეორის ბულისათვის არ გამოდგებოდა.

ფრინველთა უთანხმოებით სარგებლობდა ძერა. ეპარებოდა მოჩხუბართა ბუდეებს და მათ ბარტყებს მუსრს ავლებდა. გლოვის ხმები ისმოდა დაცარიელებული ბუდეებიდან, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მეორე დღეს კვლავ გრძელდებოდა ჩხუბი.

ერთხელ ამ ტყეს შორეული მხრიდან ერთი ყორანი ესტუმრა. ეს იყო ბებერი, მაგრამ მეტად გამოცდილი ყორანი, რადგან დიდ ხანს ეცხოვრა ამ ქვეყნად და ტყეც ბევრი ენახა.

დილაადრიან, როცა მზემ თავისი პირველი სხივი მოჰფინა ტყეს, ბებერი ყორანი დაეშვა უზარმაზარ ხეზე და აღტაცებულმა შესძახა:

— რა მშვენიერი დილაა!

მერე ძირს გადაიხედა და ფერად ყვავილთა შორის ჭრელი ბუმბულით შემოსილი ხოხობი შენიშნა. ისიც თვალწარმტაც ყვავილს ჰგავდა.

— ოო, ხოხობო, — გადასძახა ყორანმა ხოხობს, — მაპატიე, თუ შენს ხეზე დავეჯექი.

ხოხობი გაოცდა. ასეთი სიტყვა სხვა ჩიტისაგან არასოდეს მოესმინა. ამიტომაც იფიქრა — ხომ არ მომეჩვენაო.

მაგრამ ყორანმა კვლავ გაუმეორა:

— მაპატიე, ხოხობო! — და ის იყო უნდა გაფრენილიყო, რომ ხოხობმა თავისდაუნებურად შესძახა:

— რას ამბობ, რას ამბობ, ყორანო! იჯექი ჩემს ხეზე რამდენ ხანსაც გენებოს და, როდესაც მზე მთებს ამოეფარება, კვლავ აქ მოფრინდი.

მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე პირველად ამბობდა ხოხობი ასეთ სიტყვებს.

ყორანმა დაუჯერა და, როდესაც დაბინდა, ისევ დიდ ხეს დაუბრუნდა და ღამის გასათევად ხის წვეროზე მოეწყო.

განთიადისას ყორანმა ფრთები შეიფერთხა და ხოხობს მიესალმა:

— დილამშვიდობისა, ხოხობო! მშვენივრად გავატარე ღამე შენს ხეზე, ეს ტყეც ძალიან მომეწონა. როგორც იქნა მოვაგენი მხარეს, სადაც უამრავი საქმელია! თუ სურვილი გაქვს, მე გაჩვენებ ყველაზე კარგ ადგილებს.

— რა კარგი ხარ ყორანო! — შესძახა ხოხობმა. — მოდი ერთად ვიცხოვროთ!

ყორანი სიხარულით დათანხმდა.

ასე დაიწყო მათ ცხოვრება დიდ ხეზე. ცხოვრობდნენ მეგობრულად, მტაცებელი ფრინველები ვეღარ ესხმოდნენ თავს.

რაც უფრო ახლოს გაიცნეს ერთმანეთი ყორანმა და ხოხობმა, მით უფრო მტკიცე გახდა მათი მეგობრობა. ტყეში მცხოვრებ ფრინველებს უკვირდათ, რომ ისინი არასდროს არ ჩხუბობდნენ, და გადაწყვიტეს მათი მეგობრობის შემოწმება.

და აი, ერთხელ, დილით, როცა ყორანი გაფრინდა, მარტო დარჩენილ ხობობთან ტყის ყველა ფრინველი მივიდა.

— გვიკვირს, ხობობო, რომ შენ, ჩვენი ტყის სილა-მაზე და მშვენიება, იმ საზიზღარ ყორანთან საერთოს პოულობ! — უთხრეს მათ ხობობს.

— არ გაბედოთ მაგის თქმა! — გაგულისდა ხობობი. — მთელს ქვეყანაზე ყორანზე კეთილშობილი, გონიერი და მშვენიერი ფრინველი არ მოიძებნება. ის დიდ პატივს მღებს, რომ ჩემთან ცხოვრობს.

მეორე დღეს ფრინველები გარს შემოესიენ ყორანს და ბაასი დაუწყეს:

— ეჰ, ყორანო, ყორანო! როგორ მოხდა, რომ შენ, ასეთი გონიერი ფრინველი, ჩვენს სულელ ხობობთან ერთად ცხოვრობ?! —

— ხობობზე მშვენიერი, გულთბილი და სტუმართმოყვარე ფრინველი ამ ქვეყნად არ მოიძებნება და ჩემთვის დიდი პატივია, რომ ის ჩემს გვერდით ცხოვრობს! — უთხრა მათ ყორანმა.

გაოცებულმა ფრინველებმა დატოვეს ყორანი, შეგროვდნენ ერთ ადგილას და დაიწყეს სჯა-ბაასი ხობობისა და ყორანის მეგობრობის შესახებ.


უეცრად მოულოდნელმა შიშმა აიტანა მოკამათენი. მათკენ ძერა მოეშურებოდა. ფრინველები გაიფანტნენ, მიიმაღნენ ბალახებში, ხშირ ტოტებში, ხის ფულუროებში.

ძაგრამ ამ დროს თურმე ძერას ყურადღება ხობობმა მიიპყრო, რომელიც ვერ ამჩნევდა საფრთხეს, იჯდა თავისთვის მშვიდად ხეზე, ახარებდა მზიანი დღე, გემრიელი საკმელი, სითბო და სინათლე. უხაროდა, რომ თავშესაფრად ჰქონდა უზარმაზარი ხე, მაგრამ კიდევ უფრო მეტად ხარობდა იმით, რომ ჰყავდა ერთგული მეგობარი — ხანდაზმული და გონიერი ყორანი.

ძერა უკვე სულ ახლოს იყო. ჩიტები გაინაბენ, ზოგიერთმა მათგანმა შიშისგან თვალიც კი დახუჭა, მაგრამ ამ დროს ბებერმა ყორანმა უშიშრად გადაუჭრა გზა ბოროტ ძერას, გადაეფარა ხობობს და შეუტია მტერს.

გამარჯვება გამბედავ ყორანს დარჩა. ძერა უკანვე გაფრინდა.

თავშესაფრიდან გამოსულმა ფრინველებმა დიდხანს



ვერ მოიბრუნეს გული. ხოლო, როცა ბუდეებს დაუბრუნდნენ, იქ უარესი მწუხარება განიცადეს: მტაცებელს მათი ბუდეები სულ ერთიანად დაერბია. მხოლოდ მაშინ იგრძნეს ფრინველებმა, თუ რა ძალა აქვს მეგობრობას.

— განა ჩვენ კი არ შეგვიძლია მეგობრულად ცხოვრება?! — დაიწყეს მათ მსჯელობა.


— გავხდეთ მეგობრები! — მოულოდნელად ჩამოიძახა რომელიღაც ფრინველმა თუთის ხის წვეროდან.

— გავხდეთ მეგობრები! — გამოეპასუხნენ სხვა ხეებიდანაც.

— გავხდეთ მეგობრები! — ეს მოწოდება ელვის სისწრაფით მოედო მთელ ტყეს. და იმ დღიდან ფრინველთა შორის მოიპოა შუღლი და მტრობა. დაიწყო მშვიდობიანი და მეგობრული ცხოვრება.

ფრინველთა დამეგობრების შემდეგ, მეთევზეები, როდესაც კი ამ ტყის ახლოს მდინარეზე მიატურებენ ნავებს, ჩერდებიან და ტკბებიან ფრინველთა მხიარული გალობით.

თარგმნა თ. იუხნელი — ალაპიძე





მსაჯულნი და ბრალდებულნი



აქ მოთხრობილი ამბავი ზღაპარი არ გეგონოთ. ყველაფერი მართალია, მაგრამ წარსულს ეკუთვნის. დღეს ჩვენთვის წარმოუდგენელია, თუ როგორ შეიძლება მსჯავრი დაედოთ და გავასამართლოთ ღორი ან ძაღლი, თავი ან მწერი, მაგრამ ასეთ ფაქტებს ადგილი ჰქონდა ძველად.

აი, რამდენიმე მაგალითი:  
ეს მოხდა 1519 წელს, დასავლეთ ტიროლში (ავსტრია). სასამართლოში გლეხებმა იჩივეს: ბოროტმოქმედი ისე თხრიან მიწას, რომ ზედ არაფერი იზრდებაო. სასამართლომ გამოყო დამცველი, რომელმაც თავისი ბრალდებულნი უშუალოდ ვერ ნახა და გადაწყვიტა მათ გარეშე გაერჩია საქმე. სასამართლოში დამცველმა ვრცელი სიტყვა წარმოთქვა ბრალდებულთა სასარგებლოდ, მაგრამ სასამართლომ მათ მაინც გასახლება მიუსაჯა. ეს ბრალდებულნი მინდვრის თავგები იყვნენ: სასამართლომ დედა-თავგებს ორი კვირით გაუგრძელა გადასახლების ვადა, რადგანაც პატარა წრუწუნებს დამოუკიდებლად არ შეეძლოთ გადაადგილება.

1585 წელს სოფელ სან-ჟულიენის (შვეიცარია) ვენახებს მავნებელი მწერები შეესია. სასამართლომ დაადგინა, რომ მწერები უნდა გადასახლებულიყვნენ სხვაგან. ამ მიზნით მიწის ნაკვეთი კი იყო გამოყოფილი, მაგრამ მწერებმა „უარი თქვეს“ გადასახლებაზე.

ძველად, როგორც წესი, ასამართლებდნენ არა მარტო მწერებსა და თავგებს, არამედ შინაურ ცხოველებსაც—კატებს, ღორებს, ძაღლებს. მათ სატუსალოში ამწყვდედნენ და ხშირად, „გამოტყნის“ მიზნით, აწამებდნენ კიდევ. სასამართლოს მიაჩნდა, რომ ცხოველები ღმერთის მიერ არიან გაჩენილი, ამიტომ თავიანთ მოქმედებაზე პასუხიც უნდა აგონო. შთაბეჭდი-

ლების გაძლიერების მიზნით, ხშირად, ცხოველებს ტანისამოსს აცმევდნენ და სიკვდილით ისე სჯიდნენ. იყო შემთხვევა, როდესაც მსჯავრდადებულ ღრუტუნას რომელიმე მღვდელმსახურის ეზოში „პატიმრობას“ მიუსჯიდნენ ხოლმე.

ქადამიანის უძველესი წინაპარი

ჩინეთში, ქალაქ ბეკინთან მდებარე ლიანგუნჩაის მთას ამ ოციოდე წლის წინათ არავინ იცნობდა, მაგრამ უკანასკნელ დროს ამ მხარემ სახელი გაითქვა მთელ მსოფლიოში—აქ აღმოჩენილი იქნა ადამიანის შორეული წინაპრის ძვლები. ჯერ კიდევ აღმოჩენამდე, კირის საბა-



ლოების დამუშავებისას მუშები ხშირად პოულობდნენ უცნაურ ძვლებს, რომლებსაც „დრაკონის ძვლებს“ უწოდებდნენ. მაგრამ ყურადღებას არ აქცევდნენ მას.

ამ აღმოჩენებით დაინტერესდნენ მეცნიერები და 1927 წელს დაიწყო სპეციალური არქეოლოგიური გათხრები; ორი წლის შემდეგ, 1929 წელს პროფესორ ბეი ვან-ჩუნის მიერ აღმოჩენილი იქნა პირველი, კარგად შენახული თავის ქალა. ეს თავის ქალა იყო სწორედ, რომელმაც მსოფლიო ალაპარაკა. მეცნიერების ერთობლივი აზრით იგი 500.000 წლის წინათ დედამიწაზე მცხოვრებ ადამიანის თავის ქალად იქნა მიჩნეული. შემდგომ, თავის ქალის მიხედვით აღდგენილი იქნა უძველესი ადამიანის სხეულის სხვა ნაწილები. აქ მოთავსებულ სურათზე თქვენ ხედავთ ადამიანის ამ უძველეს წინაპარს. დააკვირდით მას ბავშვებო, ნახეთ რა დიდი ცვლილება განიცადა ადამიანის ორგანიზმმა ათასეული წლების მანძილზე,

ცაცხლისმგვრკვევილი მთა

ვინ მოსთვლის რამდენი უბედურება მოაქვს ადამიანისათვის ცეცხლისმფრქვეველ მთებს—ვულკანებს. მოყოლებული ძველი ჰერკულამუნიდან და პომპეიდან, გათავებული მექსიკის ტერიტორიაზე მდებარე სან-ხუანამდე, რომელიც სულ რამდენიმე წლის წინათ დაიღუპა, ვინ იცის რამდენი სოფელი და ქალაქია დამარხული ვულკანების ფერფლისა და ლავისაგან.

ვულკანი პარიკუტინი ერთ-ერთი მრავალთაგანია ცენტრალურ ამერიკაში მდებარე მოქმედ ვულკანთა შორის. მაგრამ ამ ვულკანს ხალხი სრულიად არ გაუბრძის, პირიქით, მისი კალთები და შემოგარენი ძალზე მჭიდროდ არის დასახლებული. ადამიანის ეს უცნაური სწრაფვა ცეცხლოვანი მთისაკენ გამოწვეულია იმ მიდამოებში ნიადაგის საოცარი ნაყოფიერებით. ვულკანური ფერფლი, რომლითაც დაფარულია იქაური მიწა, შესანიშნავი საზრდოა ცენტრალურ ამერიკაში მეტად გავრცელებული ყავის ხისათვის. ეს ძვირფასი კულტურა სწორედ მიწრალეებით მდიდარ ვულკანურ ნიადაგზე იძლევა საუკეთესო მოსავალს, ამიტომ, დიდი საშიშროების მიუხედავად, მოსახლეობა არ ერიდება ცეცხლოვან მთას და მის კალთებზე მშვენიერი პლანტაციები აქვს გაშენებული.



# უპოპო

ჟურნალ „იუნოსტი“-დან.


## უხსოეთის უჩინაღვიანი




— ახლავე მოსცილდი ლომს!  
— ნუ გეშინიათ, არაფერს დაგუშავენ!  
ჟურნ. „როგაჩი“, ჩეხოსლოვაკია.



უსიტყვოდ  
ჟურნ. „სტრიშელი“, ბულგარეთი.



— რამდენჯერ გაგატრთხილე, ჩემს იარაღებს ხელი არ ახლო-მეთქი!




— გოგა სადღაა?!




მერამდენედ იმავ კლასში!

საქართველო  
ბავშვთათვის



უტექსტო\_ხუმრობა ა. თაყაიშვილისა



ნახ. რ. ცუცქირიძისა



თავსატყუნი № 1

1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12;

მოცემული რიცხვები გაყავით სამ ჯგუფად და აწარმოეთ შეკრება ისე, რომ ერთიდაიგივე რიცხვი ორჯერ არ გამოიყენოთ და ყოველ ჯგუფში რიცხვების ჯამი— 26 მიიღოთ.

გ. გველესიანი

თავსატყუნი № 2

მენავეს მდინარეზე გადასატანი აქვს ათკილოგრამიანი, ხუთკილოგრამიანი, სამკილოგრამიანი და ერთკილოგრამიანი რამდენიმე ტვირთი. ყოველ გადასვლაზე მხოლოდ ერთნაირი წონის ტვირთი გადააქვს და 10 გადასვლაზე უნდა გადაიტანოს 25 კგ. ტვირთი.

როგორ მოიქცეს მენავე?

გ. გველესიანი

პასუხი უშუალოდ პიონერის № 2 მოთავსებულ  
ბასართოვაზე

პასუხი კარგმორღვე

ჰორიზონტალურად:


4. კობრი; 8. მართონი; 9. ერისთავი; 11. ხიდი; 12. ერაყი; 13. ბონი; 16. ფანდი; 17. ბარტო; 19. აკიდო; 21. ურო; 22. ბერნი; 23. გენუა; 24. ტაო; 28. ატენი; 29. იფანი; 30. ტრეკი; 31. აინი; 32. სიონი; 34. იანი 37. იმიტაცია; 38. ბალერინა; 39. იშიმი.

ვერტიკალურად:

1. უბე; 2. ბორღდინო; 3. თითი; 4. კანოე; 5. იარღი; 6. ფასი; 7. ანატომია; 10. კადრი; 14. სილეზია; 15. ვახუშტი; 16. ფარგა; 17. ბანგი; 18. ოდერი; 20. ოვალი; 25. მექანიკა; 26. ხანოი; 27. კერამიკა; 32. სვირი; 33. ისანი; 35. ვაშა; 36. სელი; 40. ჩია.

პასუხი გამოცანაზე „მოხედავად პიონერები“.

მანამ და ჯემალმა ხიდი მოაწყვეს არხის კუთხეში ისე, როგორც ნაჩვენებია ნახაზე.



დემი ზარაფიშვილი თბილისის 39-ე სკოლის მოსწავლეა. მას პატარაობიდანვე უყვარდა ხატვა, ასურათებდა საყვარელ წიგნებს, აკეთებდა ჩანახატებს.

ამას წინათ თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში მოეწყო საქართველოს ნორჩ მხატვართა ნამუშევრების გამოფენა. დემის მიერ ფანქრით შესრულებულმა ნახატებმა ამ გამოფენაზე დამთვალეიერებელთა განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო. მთის მიმზიდველი პეიზაჟები, ფაფარაშლილი ცხენები, იალადებზე გაშლილი ფარა, საინტერესო ტიპაჟი, კარგად მოფიქრებული კომპოზიცია. აი, დემის ნამუშევართა ღირსებანი.

გასული წლის ზაფხული ნორჩმა მხატვარმა ლაგოდესში გაატარა და კავკასიონის ბუნებამ წარუშლელი შთაბეჭდილება დასტოვა მასზე. დიადმა ბუნებამ შთააგონა მას დაენატა ვაჟა-ფშაველას პოემების გმირები, აბჯარასხმული ალუდა ქეთელაური ნისლში გახვეული მთები, სალ კლდეებზე არწივის ბუდეგავით მიდგმული სოფლები.

დემის უკვე შერჩეული აქვს თავისი პროფესია: საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ იგი თბილისის სამხატვრო აკადემიაში აპირებს სწავლის გაგრძელებას ფერწერის განხრით. გარეკანის მესამე გვერდზე ვებტყდავთ დემი ზარაფიშვილის მიერ შესრულებულ შემდეგ ნახატებს: სურ. 1, 2 და 3. ილუსტრაციები ვაჟა-ფშაველას პოემისათვის „ალუდა ქეთელაური“ სურ. 4. „ცხენების გატაცება მთაში“; სურ. 5. „შეტაცება ბანდიტებთან“; სურ. 6. „მეკობრენი“; სურ. 7. „მგვიპტის ტრაგედია“.

რ ე ღ ა ქ ც ი ა შ ი შ ე მ ო ს უ ლ ი მ ა ს ა ლ ე ბ ი  
ა ვ ტ ო რ ე ბ ს ა რ უ ბ რ უ ნ დ ე ბ ა თ.

ფახი 2 მან.

„ПИОНЕРИ“ детский журнал Центрального Комитета ЛКСМ Грузии. № 4 1957. Тбилиси, Плевахова, 91. მისამართი: თბილისი, პლენანოვის პრ. 91. ტელ. 3—81—85.

უფ 01228, ტირ. 15.000, ხელმოწ. დასაბ. 8/IV-57 წ. სტამბის შვკვ. № 391, გამომც. შვკვ. № 151/პ/კომბინატი „კომუნისტი“. გარეკანი დაბეჭდილია ლითო-ოფსეტური ტექნიკის ფაბრიკაში.



1



3



2



6



4



1970

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

